# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 მაისი, 2008 წელი.

№ 84 (5942)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## დაუსაქმებლად დასაქმებულნი...

7






4

იულონ გაგოშიძე:

## დიასპორა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს

## არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული ბიზნესი და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკა

3



გიდეონ რახმანი:

## სად ვარ მე – დასავლეთში თუ ველურ დასავლეთში?..

5




12

სერგეი შამბა:

## რუსეთმა ჩვენ და ფაქტო გვაღიარა!

## „ოკეანის“ დამტევნელი ცაგერული „წვეთი“ და... გატეხილი „კოკა“

4



## ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი...

8-9



**კანდიდატი**

# ისანი — ინდუსტრიული ზონა...



**ისნის რაიონში რესპუბლიკური პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ვახტანგ ხმალაძე საარჩევნო სუბიექტებს შორის არათანაბარი კონკურენციის პირობებზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ მმართველ პარტიას ამ მხრივ სერიოზული პრივილეგიები აქვს. ხმალაძის განცხადებით, ხშირია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.**

**წინასაარჩევნოდ ხმალაძემ ახალი იდეა გააჴმოვანა, რომელიც ისნის რაიონში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნას გულისხმობს.**

**არჩევნებში თავისი შანსებისა და ახალი იდეის შესახებ სააგენტო ჯი-ეიჩ-ენმა მაჟორიტარობის კანდიდატთან ინტერვიუ ჩაწერა.**

**— როგორ აფასებთ თქვენს შანსებს? როგორ ფიქრობთ, მოუგებთ თუ არა კონკურენტებს ისნის რაიონში?**

— რომელ კანდიდატსაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. ნაწილმა იცის, რომ არანაირი შანსი არ აქვს, მაგრამ არიან არჩევნებში მონაწილე კანდიდატები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გამარჯვების შანსი აქვთ. რასაკვირველია, მეც ვფიქრობ, რომ მაქვს გამარჯვების შანსი და ამის რეალური საფუძველიც არსებობს. დანარჩენს კი გვიჩვენებს დრო, რაც არჩევნებამდე დარჩა.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თანაბარი კონკურენცია საარჩევნო სუბიექტებს შორის?**

— ვითარება საკმაოდ არაერთგვაროვანია, ვინაიდან თვითონ საარჩევნო კოდექსი ისეა აგებული, რომ მან დაყო პარტიები ე.წ კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებად. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები ის პარტიებია, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს, არჩევნებში მოპოვებული ხმების რაოდენობას და ა.შ. ისინი დანარჩენებთან შედარებით უკეთეს პირობებში არიან, მაგრამ სრულიად განსაკუთრებულ პირობებშია მმართველი პარტია — ნაციონალური მოძრაობა. ვინც თვალყურს ადევნებს ტელევიზიას, ის აშკარად შეამჩნევს, რომ საეთერო დროის თვალსაზრისით ნაციონალურ მოძრაობას საკმაოდ მეტი დრო უკავია, ვიდრე ყველა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიას. აშკარად ჩანს ასევე ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.

**— თქვენ ისნის რაიონში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ინიციატორი ხართ. უფრო დეტალურად რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— მსოფლიოში არსებობს ასეთი პრაქტიკა: დიდ ქალაქებში, მეგაპოლისებში, სადაც ჩნდება დეპრესიული რაიონი (ანუ სხვადასხვა მიზეზის გამო რაიონში წყდება სამეწარმეო საქმიანობა, იხურება ქარხნები, ჩნდება უამრავი უმუშევარი, რაც იწვევს ძალიან სერიოზულ სოციალურ პრობლემებს, მათ შორის დანაშაულის მკვეთრ ზრდას, ასეთ დეპრესიულ რაიონში შეიქმნას წერტილოვანი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა, ვინც ამ ზონაში გასწევს სამეწარმეო საქმიანობას, ან მთლიანად უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისგან, ან ამ გადასახადების განაკვეთები მკვეთრად შეუმცირდება. მოგეხსენებათ, გადასახადებს რა წილი მიაქვს მეწარმის შემოსავლისა და ასეთი გათავისუფლება სტიმულს აძლევს ბიზნესმენს, ფული ჩადოს სწორედ იქ, სადაც გადასახადები დაბალია, ან საერთოდ არ არსებობს. რამდენიმე წლის წინათ ასეთი ზონა ლონდონში შეიქმნა და პრაქტიკამ უჩვენა, რომ იქ საკმაოდ სწრაფად განვითარდა მრეწველობა, მკვეთრად შემცირდა უმუშევრობა, გაუმჯობესდა სოციალური მდგომარეობა, გაუმჯობესდა რაიონის ინფრასტუქტურა, ანუ შეკეთდა გზები, გაუმჯობესდა წყლის მიწოდება, მოიხსნა სისუფთავის პრობლემა, ენერგეტიკული რესურსების მიწოდება და ამან გამოიწვია დანაშაულის მკვეთრი შემცირება. ესე იგი, მთლიანობაში ასეთი წერტილოვანი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნას შეუძლია უაღრესად კარგი შედეგი მოიტანოს.

**— რატომ უნდა შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ისანში და არა ვთქვათ, სხვა რაიონში?**

— საქმე ისაა, რომ ისანი საკმაოდ კარგად განვითარებული სამრეწველო რაიონი იყო. აქ ფუნქციონირებდა არაერთი ფაბრიკა და ქარხანა, რომელთაგან დღეს პრაქტიკულად არც ერთი არ მუშაობს. ამ რაიონში ცხოვრობს ის ხალხი, ვინც ძირითადად სწორედ ამ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა. დღეს ისინი უმუშევრები არიან. მათ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია იმისათვის, რომ მოკლევადიანი გადამზადების შემთხვევაში შეძლონ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება. გზების თვალსაზრისით ამ რაიონთან მიდგომა ძალიან ადვილია. აქ ძირითადი ინფრასტრუქტურა არსებობს და მისი გაუმჯობესება მცირე ხარჯებს მოითხოვს. აქ არის უმოქმედო ფაბრიკები და ქარხნები, რომელიც შეიძლება ბაზად გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე ქარხნების ასამუშავებლად. ამ რაიონში არის ასევე თავისუფალი ტერიტორია, სადაც შეიძლება ახალი აშენდეს, ანუ ყველა წინაპირობაა იმისათვის, რომ ასეთი ინდუსტრიული ზონა წარმატებული იქნეს. ჩვენ აუცილებლად დავსვამთ ამ საკითხს და შევეცდებით, მივაღწიოთ მის გადაწყვეტას.

**— პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ოპოზიციას, ერთად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში. როგორ წარმოგიდგენიათ ეს თანამშრომლობა?**

— ხელისუფლება და პოლიტიკური ოპოზიცია სახელმწიფოს ერთად უნდა აშენებდნენ. ოღონდ განსხვავება ის არის, რომ გადაწყვეტილებებს იღებს ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა შეეცადოს, რომ ეს გადაწყვეტილებები მცდარი არ იყოს, ანუ ხმამაღლა უნდა ილაპარაკოს ამის თაობაზე, ხალხის ყურადღება მიაქციოს ხელისუფლების არასწორ მოქმედებებს, შეეცადოს, აღკვეთოს არასწორი ქმედებები. ეს არის ოპოზიციის დანიშნულება. თავად ოპოზიციას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, იმიტომ, რომ ის არც მთავრობაშია, არც უმრავლესობა აქვს პარლამენტში. მას შეუძლია მხოლოდ აქტიური დამკვირვებლის როლი შეასრულოს, მისცეს რჩევები ხელისუფლებას და დააკვირდეს იმას, რომ ხელისუფლებამ არ დაარღვიოს კანონი. განვლილმა ოთხმა წელიწადმა აჩვენა, რომ ნაციონალურ მოძრაობას და სააკაშვილის ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ ჰქონდათ ოპოზიციასთან თანამშრომლობისა. ყველას კარგად ახსოვს ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა განცხადებები, დღეს ჩვენ ვართ უმრავლესობაში და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ, როცა თქვენ იქნებით უმრავლესობაში, მერე თქვენ გააკეთეთ, რაც გინდათო. ასეთი განცხადება მიუთითებს არა თანამშრომლობის სურვილზე, არამედ განსხვავებული აზრის სრულ იგნორირებაზე. ოპოზიცია ქვეყნისათვის აუცილებელია. ოპოზიციას უნდა უსმინოს ხელისუფლებამ, ოპოზიციას უნდა ჰქონდეს საკმაოდ ქმედითი ბერკეტები ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის. ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: კონტროლის პალატის ხელმძღვანელი უნდა იყოს ოპოზიციის მიერ დანიშნული პირი, ვინაიდან კონტროლის პალატა არის ის ორგანო, რომელმაც უნდა აკონტროლოს ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის კანონიერება. თუ ხელისუფლებამ თავად დანიშნა კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ ის აღმოჩენილ დარღვევებს ხმამაღლა არ განაცხადებს. თუ ის იქნება ოპოზიციის წარმომადგენელი, ამას აუცილებლად გააკეთებს. თუ ჩვენი ამომრჩეველი დაგვიჭერს მხარს და რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებაში მოვა, ოპოზიცია დაცული იქნება და ჩვენი ხელისუფლება ოპოზიციას ყურადღებით მოუსმენს.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**

**ცვლა**

# რა უთხრეს თხას და რისი იმედი უნდა გვქონდეს სამერმისოდ

## დიმიტრი მედვედევი — კრემლის ახალი ბინადარი



**რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში გრძელი როქი გაკეთდა. რამდენად გრძელი და შორსმიმავალია ეს გადაადგილება, დიდი დრო არ დასჭირდება ამის გაგებას. მანამდე კი სამთავრობო დერეფნებში დადის ხმები იმის შესახებ, რომ მედვედევის გაპრეზიდენტებით რუსულ-ქართული ურთიერთობები იმდენად დათბება საქართველოსთვის სასიცოცხლო პრობლემის — ტერიტორიული გამთლიანების იმედიც კი გაჩნდესო.**

ათადან-ბაბადან მოყოლებული ადამიანი იმედით ცოცხლობს. თქვენს ჭირს წაიღებდა სამართლის გამმრუდებელი სოფლის მამასახლისი, ბატონი თუ მეფე და ჩაგრულთ გულებში იმედი აკიაფდებოდა, წელში გაიშლებოდა დაბალი ღობე", მხიარულობდნენ და ლაღობდნენ — გვეშველა და ეგ არიო.

სულ ამაოდ! დაჯდებოდა ტახტზე ახალი ხელისუფალი და თურმე ისიც ისეთივე ცრუ და ორპირი გამოდგებოდა, როგორც მისი წინამორბედი.

ხალხმა თავისი ეს დაკვირვება იმ უკვდავ ლექსში გამოთქვა, წინა საუკუნის 30-იან წლებში ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ვახტანგ კოტეტიშვილმა (ვისი დაბადების 115 წლისთავიც წლეულს სრულდება) ქართლში, სოფელ კარბში ჩაწერა. აი, ეს ლექსიც:

**თხას უთხრეს: — მგელი**
**მამკვდარა,**
**თხამ ნავარდი ჰქნა, გაიქცა.**
**თხაო, ნუ გაგხარებია,**
**განა სამგლეთი დაიქცა.**
**იმას რო დარჩა ლეკვები,**
**ისინიც მგლებად მაიქცა.**

**გურამ ვაშაკიძე**

**ინფორმაცია**

## ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს

**რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. პარტიის წევრებმა შეხვედრაზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრეს.**

— საუბნო კომისიებში რესპუბლიკელების წარმომადგენლებზე ადგილი აქვს ზეწოლას. აკაკი ბობოხიძე არჩევნებს ნაციონალური მოძრაობისთვის აპრობირებული პოლიციური მეთოდით ატარებს. დაშინების შედეგად, 83-ე უბანში კომისიის წევრობაზე უარი თქვა ლეილა მახარაძემ. ზეწოლა განახორციელა ნაციონალური მოძრაობის წევრმა, ამავე საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ ლუიზა ბენიძემ, — აცხადებს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ ნაკაშიძე.

რესპუბლიკელთა პრესკონფერენციას ეუთოს მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, თუმცა მათ წინასწარ რაიმე კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ არჩევნების წინ

***რამდენიმე** თვის წინათ, საპატრიარქოს მხარდაჭერით შექმნილი ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობა აპოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. „ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება შორს ვიყოთ პოლიტიკისაგან. ჩვენი ორგანიზაცია მიზნად არ ისახავს არჩევნებში მონაწილეობას, პოლიტიკურ დებატებს და ა.შ. ღმერთმა დაიფაროს, ისე დაიქცეს ქვეყანა და ისე ცუდად წავიდეს ყველაფერი, რომ ჩვენი პოლიტიკაში ჩართვა საჭირო გახდეს...“ — აცხადებდა გიორგი ანდრიაძე „საქართველოს რესპუბლიკის“ 16 თებერვლის ნომერში. დღეს კი, ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ლიდერი და ტელეკომპანია „ივერიის“ ხელმძღვანელი **გიორგი ანდრიაძე**, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატია. რატომ ჩაერთო იგი პოლიტიკაში, რამ აიძულა არჩევნებში მონაწილეობა და მართლაც „იქცევა თუ არა ქვეყანა“ — თავად მისგან შევიტყობთ.*



# არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული ბიზნესი და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკა

— ფაქტობრივად ქვეყანა მიექანება სრული დაშლისაკენ, როგორც ტერიტორიალურად, ისე სამოქალაქო დაპირისპირებით. სიტუაცია ძალიან იძაბება და 21 მაისის შემდეგ რა სიტუაცია იქნება არავინ იცის. ოპოზიცია წინასწარ აცხადებს, რომ არჩევნები ყალბდება და ამას რევოლუცია მოჰყვება. ხელისუფლება კი აქვეყნებს რეიტინგებს, რომლის მიხედვითაც ის გამარჯვებულია. ამაზე უარესი რა უნდა იყოს! როგორც პოლიტიკური მხარეების პოზიციათა შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, შეიძლება ნოემბრის მოვლენებზე უარესიც მოხდეს.

ჩვენ ხელი მიგვიწვდება მასმედიაზე, გვაქვს ჩვენი არხი და გვინდა ამ გზით გავაფრთხილოთ საზოგადოება, მინდა, გამოვიყენო ის უფლება, რაც მაჟორიტარ კანდიდატს აქვს. თუ ქვეყანაში დღეს არსებული ვითარება არ არის გარედან შეკვეთილი და თავსმოხვეული, იქნებ როგორმე ჩემი გამოსვლებით, დიპლომატიური ხერხებით თავიდან ავიცილოთ მწვავე დაპირისპირება.

**— იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდა, ოპოზიციამ შეასრულა მუქარა და დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, თქვენ შეუერთდებით?**

— არჩევნები ყველა ქვეყანაში, ყალბდება, ოღონდ, შეიძლება მცირედი პროცენტით გააყალბონ. თუ ტოტალურად გაყალბდა, ამას მძიმედ გადაიტანს ქართველი ერი. ამიტომ, გვინდა რამენაირად ავიცილოთ ეს თავიდან. როცა ტოტალური გაყალბება ხდება, ძნელია ადამიანებს უთხრა, ამაზე რეაქცია ნუ გექნებათო. სწორედ ასეთმა გაყალბებამ გამოიწვია „ვარდების რევოლუცია“ და როდესაც ამის პრეცედენტი არსებობს, შეიძლება მსგავსი რამ კიდევ მოხდეს. ამ წუთში ვერ ვხედავ კონკრეტულ რეცეპტს ვითარებიდან გამოსასვლელად, მაგრამ ვეცდები კანდიდატობა და მასმედიასთან ხელმისაწვდომობა გამოვიყენო. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ „ივერიის“ გარდა, სხვა ტელეარხებისთვის ჩვენი ხმა აბსოლუტურად დახშულია, ვიყენებთ მხოლოდ იმ სატელევიზიო დროს, რაც კანონით გვაქვს მონიჭებული უფასო რეკლამისათვის. ქვეყანაში არსებულ მწვავე საკითხებზე სასაუბროდ კი არც ერთი არხი არ გვიწვევს. თუ გაერთიანებული ოპოზიცია ამბობს, რომ არ უშვებენ „მზეზე“ და „რუსთავი-2“-ზე, ჩვენი არ გვიშვებენ არსად, მათ შორის არც „კავკასიაზე“.

**— მართალია, თქვენ საბურთალოზე დაიბადეთ და გაიზარდეთ და, ალბათ, ბევრი ნაცნობიც გყავთ ამ რაიონში, მაგრამ ბრძოლა დიდი კონკურენციის პირობებში მოგიწევთ. რამდენად გაქვთ გამარჯვების იმედი?**

— ჩემი კონკურენტები არიან კონკრეტული პარტიის წევრები, ანუ მათი რეიტინგი მიბმულია მათი პარტიების რეიტინგზე. მე კი უპარტიო, დამოუკიდებელი კანდიდატი ვარ, ვინაიდან ჩვენი მოძრაობა არჩევნებში არ მონაწილეობს. ვფიქრობ, მოსახლეობა დაიღალა ამ პარტიების დაპირისპირებითა თუ ლაპარაკით, საზოგადოებას სხვა ძალის გამოჩენა სურს. საზოგადოება, რომელიც მოყირჭებული პარტიული სახეების ყურებით დაიღალა, არჩევანს, ალბათ, ჩემს სასარგებლოდ მოახდენს.

**— რატომ არ ჩაერთო ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობაც არჩევნებში?**

— ფინანსური პრობლემა გვქონდა. ჩვენში არსებულ პარტიებს (მაგალითად, გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასძ საიდან აქვთ ფინანსები, მართლაც საკითხავია. საერთოდ, პოლიტიკა დოტაციური სფეროა, პოლიტიკას დაფინანსება სჭირდება და უნდა აფინანსებდეს მსხვილი და საშუალო ბიზნესი. ვფიქრობ, რომ საქართველოში არ არსებობს ქართული ბიზნესი, ანუ ქართველი ბიზნესმენების უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყნის ინტერესებს არიან მიბმული. არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული ბიზნესი და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკა.

**— რა არის თქვენი მთავარი მიზანი, რას სთავაზობთ საბურთალოს ამომრჩევლებს?**

— ვთავაზობ დამოუკიდებელი, ეროვნული პოლიტიკური ძალის შეიქმნას, რომელიც არ ფინანსდება უცხოეთიდან და შესაბამისად არ იღებს სხვადასხვა პოლიტიკურ შეკვეთებს.

**— საქართველოს ტიპის ქვეყნისათვის, რამდენად შესაძლებელია ასეთი პოლიტიკურ-ფინანსური დამოუკიდებლობა? როგორ უნდა მივაღწიოთ ამას?**

— ყველა ქვეყანა დამოუკიდებელია. მაგალითად, სომხეთის დამოუკიდებლობას განაპირობებს მისი დიასპორის დიდი ფინანსები და მხარდაჭერა. სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობას განაპირობებს თვით პოლიტიკის ბერკეტები. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე, ყოველთვის იქნება უზარმაზარი ბიზნეს ინტერესები და ამ ბიზნესინტერესებისგან რომ პატარა ქვეყნებმა თავი დაიცვან, საჭიროა პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედება. ჩვენ, როგორც ქვეყანა, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ ვართ, რათა კერძო „კუნძული“ არ გავხდეთ. საბერძნეთს აქვს ბევრი კუნძული და ეს კუნძულები იყიდება ხოლმე. ასე კუნძულივით რომ არ გაიყიდოს საქართველოც, საჭიროა შეიქმნას პოლიტიკური ძალა. სახელმწიფოს აქვს ძალიან დიდი ბერკეტი, რათა ვითარება აკონტროლოს და გასაყიდად არ გამოიტანოს ყველაფერი. მით უმეტეს, არ უნდა გავყიდოთ ეროვნული მნიშვნელობის ღირებულებები, რომლებიც ნაწილობრივ უკვე გაყიდულიც არის.

ვფიქრობ, ასეთ რამეს არც ერთი პარტია არ სთავაზობს ამომრჩეველს.

კონკრეტულად საბურთალოს ამომრჩეველს კი ვპირდები ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას, რაც სხვა პოლიტიკური ძალების ინტერესების მიღმა რჩება. ეს არის: პირველი — ნარკომანიის საკითხი, რომლითაც დასნეულებულია მთელი ქვეყანა. უკან დაგვრჩება ნატოც და აფხაზეთიც, თუ ხელში შეგვრჩა დასნეულებული ახალგაზრდობა. ქვეყანაში არ არის არც ერთი უფასო რეაბილიტაციის ცენტრი და მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდება. ასევე, ვთავაზობთ უდანაშაულო პატიმრების საკითხის გარკვევას. პირველად ნასამართლევებისა და მსუბუქი დანაშაულისთვის დაკავებულთათვის უნდა შეიქმნას მიმაგრების ადგილები, როგორც ამას პატრიარქი ბრძანებს თავის ეპისტოლეებში. ასევე ვთავაზობთ სოციალური საკითხების მოგვარებას. სოციალური პრობლემების გაუმჯობესება და უმუშევრობის აღმოფხვრა ნომერ პირველი პრობლემაა. უმუშევრობაზე და ცუდ სოციალურ პირობებზეა დამყარებული ბევრი პრობლემა და ბუნებრივია, ნარკომანიაც.

საბურთალოელ ამომრჩევლებთან შეხვედრებს ვმართავ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე, თუმცა ეს შეხვედრები არასდროს არ შუქდება და რამდენჯერაც მოვიწვიეთ ტელევიზიები, იმდენჯერ არავინ მოვიდა.

**— საგარეო პოლიტიკაზე რას გვეტყვით. ბოლო დროს ძალიან დაიძაბა ურთიერთობები რუსეთთან...**

— კიდევ უფრო დაიძაბება, რადგანაც, როგორც უკვე გითხარით, ჩვენს ქვეყანას არა აქვს დამოუკიდებელი, ეროვნული პოლიტიკის განხორციელების უნარი, ის ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ქვეყნის დაკვეთებს და მიხეთქებული ვართ ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ქვეყანას არა აქვს ეროვნული კონცეფცია.

**— როგორ უნდა დააღწიოს ქვეყანამ თავი ამჟამინდელ სამხედრო აგრესიას? რა ადეკვატური ნაბიჯებია გადასადგმელი?**

— თავს ვერ დააღწევს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას გარედან უკვეთავენ. ხელისუფლებამაც არ იცის, რა და როგორ იქნება და რა უნდა გააკეთოს. დღეს ერთს აცხადებს, ხვალ სხვა დირექტივებს უკარნახებენ, და სხვას აცხადებს. მათ მხოლოდ ფრაგმენტები იციან თავიანთი ქმედებებისა.

**— თქვენი აზრით, ვინ არის ამ დაკვეთების რეჟისორი?**

— რეჟისორი არის გარეშე ძალა. მე არ მაქვს კონკრეტული ფაქტები და ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი პოლიტიკა არათანამიმდევრულია. თუ დაფიქრებულხართ, რა საოცარი სიტუაციაა: სულ ახლახან, თითქმის დამთბარი იყო დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და საავიაციო მიმოსვლა არ იყო, ახლა ლამისაა ომი დაიწყოს და თვითმფრინავები თავისუფლად მიმოფრენენ. დაუკვირდით: ეკონომიკური დათბობის ფონზე თითქმის საომარი ვითარებაა. ეს არის სპექტაკლი, მაგრამ არ ვიცი, რომელი რეჟისორისა, იმიტომ რომ მე მხოლოდ მაყურებელი ვარ, მაგრამ მშვენივრად ვხვდები, რომ ეს ყველაფერი არალოგიკურია. ყველაფერი აბსურდის თეატრივითაა.

მე ხალხის გონიერების იმედი მაქვს, მჯერა, რომ საბურთალოელები გაარჩევენ კარგსა და ცუდს და სწორ არჩევანს მოახდენენ.

სწორედ ამისათვის მინდა საკანდიდატო უფლებამოსილება, რათა მოსახლეობას ინფორმაცია მივაწოდო, საზოგადოებას დავუსვა კითხვა: რატომ აპიარებს ერთსა და იმავე ოპოზიციონერ კანდიდატს ტელევიზია?! რატომ არ აინტერესებთ ჩვენი აზრი? რატომ ჩვენ არ გვიშვებენ ტელეეკრანზე და ა.შ.

**— ოპოზიციური პარტიებიც მაგასვე ამბობენ, მხოლოდ თქვენ არა ხართ უკმაყოფილო საეთერო დროის უქონლობით...**

— ოპოზიცია ფართო სპექტრია და როცა ოპოზიციის ერთი ნაწილის გაპიარებაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ კონკრეტულად ორ პარტიას — გიორგი თარგამაძის მოძრაობასა და რესპუბლიკელებს.

ეს ყველაფერი არის დიდი პოლიტიკური, საკმაოდ რთულად გასაგები სპექტაკლის ასპექტები, მაგრამ ჩვენ საზოგადოებას დავეხმარებით ამ ყველაფრის გაგებაში.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

◉ ინფორმაცია

## ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა?

**ლეიბორისტული პარტიის** რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით რობაქიძე აჭარის რევოლუციის 4 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას აკეთებს.

მისი განცხადებით, ქვეყანას საზეიმო არაფერი აქვს, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში აჭარაში დემოკრატიული პროცესები არ განვითარებულა. ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა.

„ლეიბორისტების“ პროტესტის მიზეზი 6 მაისს გახდა ის, რომ აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელმა მოთხოვნას დებატების შესახებ უარით უპასუხა. იგი ლევან ვარშალომიძეს და აჭარის ტელევიზიის დირექტორს თეა ცეცხლაძეს „თავის წაგდებით“ ემუქრება და აცხადებს, რომ დრო საარჩევნო პროგრამის გაცნობისთვის აუცილებლად უნდა დაუთმონ ყველა პოლიტიკურ პარტიას.

ბრიფინგზე ლეიბორისტებმა გუშინ მეორე თემაც წამოსწიეს. მათ ხელში ჩაუვარდათ წერილი, რომელსაც ქობულეთის მოსახლეობის 30-მდე ამომრჩეველი აწერს ხელს. ისინი აჭარაში ნაცმოძრაობის გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელს ლევან ვარშალომიძეს პირდებიან, რომ თუ გაათავისუფლებენ პატიმარ შავიშვილს, ამ შემთხვევაში ისინი ხმას მისცემენ ნაციონალურ მოძრაობას და შემოხაზავენ ხუთ ნომერს!...

ინტერპრესნიუსი

პოზიცია

*საზღვარგარეთ ქართული სათვისტომოები რუსეთის საელჩოებთან პროტესტით გამოდიან. უცხოეთში მცხოვრები ქართველები რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებს აპროტესტებენ და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებენ, ხმა აიმაღლონ რუსეთის მცდელობაზე, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიების ანექსია. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯი-ეიჩ-ენს ესაუბრება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე.*



# იულონ გაგოშიძე: დიასპორა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს

**— ბატონო იულონ, საზღვარგარეთ ქართული სათვისტომოები რუსეთის საელჩოებთან პროტესტით გამოდიან, თქვენი სამინისტროს აპარატი რამდენად ჩართულია საპროტესტო აქციებში?**

— საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების საპროტესტო აქციები გაიმართა საფრანგეთში, შვედეთში, თურქეთში, ამერიკაში, კერძოდ ნიუ-იორკში. ეს იყო ქართული დიასპორის ორგანიზებული, არანაირი მითითება არ მიუღიათ აქედან ჩვენს სათვისტომოებს, თავისით დაიწყეს შეკრებები რუსეთის საელჩოებთან. მაგალითად, გუშინ დიდი აქცია გაიმართა რუსეთის საელჩოსთან ვაშინგტონში, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი 150-მდე ადამიანი შეიკრიბა ქართული დროშებით ხელში, ლამაზი აქცია მოაწყვეს და რუსეთის აგრესიას ასე გამოეხმაურნენ. აქცია გაიმართა თურქეთშიც, ქალაქ სტამბოლში რუსეთის ფედერაციის გენერალური საკონსულოს შენობის წინ. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ საქართველოსა და თურქეთის დროშები და შემდეგი შინაარსის პლაკატები: კავკასიაში ახალი ომი არ უნდა გაჩაღდეს, არ დაივიწყოთ აფხაზეთში მომხდარი ქართველების ეთნოწმენდა. სტამბოლში გამომავალი ქართულ-თურქული ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, ქართული წარმოშობის ცნობილმა მწერალმა ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ თურქეთის საზოგადოებას საქართველოს მხარდაჭერისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ საქართველო მარტო არ არის. საქართველოს გვერდით საზღვარგარეთ მცხოვრები მილიონობით ქართველია. მსგავსი მასშტაბის აქცია სტამბოლში პირველად გაიმართა.

ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ აქტიურად არის ჩართული საქართველოს დიასპორა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საოცარია, მაგრამ საქართველოს დიასპორა იქიდან კარგად ხედავს და აფასებს სიტუაციას.

მადლობას ვუხდი საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ყველა ჩვენს თანამემამულეს, რომელსაც ახსოვს თავისი სამშობლო და ზრუნავს მასზე. მინდა მათ იცოდნენ, რომ ჩვენი სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო იქცეს ერთიან და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ. ამ საქმეში ჩვენი დიასპორის წვლილი დიდია. არ არსებობს ქვეყანა უდიასპოროდ და დიასპორა უქვეყნოდ.

**— რუსეთში ქართული დიასპორა თუ გეგმავს რაიმე აქციას? აქტიურობს ამ კუთხით?**

— ჩვენ ამას ვერ მოვთხოვთ რუსეთის ქართულ დიასპორას, რომელიც ძალიან შეშფოთებულია ასეთი სიტუაციით. თუმცა ძნელია რუსეთში დემოკრატიაზე საუბარი, იქ მცხოვრები ქართველები მხარს უჭერენ საქართველოს წარმატებებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს დამოკიდებულება მათ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. ჩვენ ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს რუსეთის სათვისტომოებთან, მაგრამ ვერ მოვთხოვთ მათ საპროტესტო გამოსვლებს.

**— კიდევ სად არის დაგეგმილი ქართული სათვისტომოების აქციები?**

— 16 მაისს დიდი აქციაა დაგეგმილი ლონდონში, ჩვენი თანამემამულეები რუსეთის საელჩოსთან შეიკრიბებიან. ამ აქციას ქართული დიასპორა უწევს ორგანიზებას, გარდა გამოსვლებისა, ორგანიზატორები საპროტესტო ნოტას გადასცემენ რუსეთის ელჩს ბრიტანეთში.

აქციები დაგეგმილია აგრეთვე ესპანეთში და ევროპის დიდ ქალაქებში.

ჯი-ეიჩ-ენი

ესეც ასე!

*„ჯოჯოხეთის დამტევნელი პაწაწინა სამოთხე“ უწოდა პოეტმა გულს.*

*იმ ერთმა ცაგერულმა „წვეთმა“ კი, რომელიც კახა კუკავამ გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ააწკაპუნა“ და ამით საზოგადოებრიობას ნაცმოძრელი დეპუტატის ვალერი გიორგობიანის მიერ ცაგერის რაიონის პოლიციისა და უშიშროების წარმომადგენლებთან ჩატარებული თათბირის ფარული აუდიოჩანაწერი გააცნო, მთელი ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო ილეთების „ოკეანე“ აირეკლა და დაიტია.*

# „ოკეანის“ დამტევნელი ცაგერული „წვეთი“ და... გატეხილი „კოკა“,

## ანუ დეკემბრამდე არცთუ ისე შორია

მოკლედ, გადმოსდინდა, რაც კოკასა შიგან იდგა!

არა, მანამდეც ყველამ კარგად იცოდა „შიგთავსის“ რაობა, მაგრამ რაკიღა „კოკა“ მთელი იყო...

მთელი კი იმად იყო, რომ აქამდე არ გამოჩნდა ვინმე, მეფე შიშველიაო, რომ ეყვირა.

ამჯერად ცაგერში ჩაწერილმა და თბილისში დატრიალებულმა აუდიოკასეტამ შეასრულა იმ გულუბრყვილო ბავშვის მოვალეობა და...



ყველამ დაინახა სამოსშემოძარცული ნაცმოს რეალური წინასაარჩევნო სახე — ვინც გინდა აირჩიე, მაგრამ ხმები კი მე მომეციო, კომუნისტური „ზამაშკებით“ რომ ჩაგვსისინებდა.

ოღონდ ნაცმო, კომუნისტთაგან განსხვავებით, ჯეკპოტს არ მოითხოვს — ოთხმოც პროცენტზეც „ყაბულსაა“ — დემოკრატიობაა საჭიროა!

ჰოდა, ვალერი გიორგობიანმაც, — უნდა უზრუნველყოთ, რომ ამომრჩეველთა ოთხმოცმა პროცენტმა ხმა ნაცმოძრაობას მისცეს, თორემ სამსახურს დაემშვიდობეთო, — წაუულტიმატუმა თათბირის მონაწილეებს.

ერთ-ერთმა „უპირო“ მოთათბირემ კი გიორგობიანის ენა-პირით თქმული პირწმინდად გადაიტანა აუდიოლენტზე და...

უკვე ველარ შეძლეს დაყენებული ღიმილითა და უწერტილმძიმოდ მოლაპარაკეებმა (თავადაც მიხვდებით, ვინძ თბილისში იმის მტკიცება, ეს ნაყალბევი და ინსინუაციააო.

უთუოდ და მხოლოდ ეს იქნება მიზანი, და არა ის, ავყია ბოროტი ადამიანები რომ ამტკიცებენ, ისღა სურთ, როგორმე გაიგონ ჩამშვების ვინაობა და მერე იციან, რასაც უზამენო.

— რათა, კაცო, ჩაშვების ინსტიტუტი განა თვითონ არ მოიგონესო?! — შეიძლება გაიკვირვოს მავანმა გულუბრყვილომ.

სხვათა ჩამშვებისა, თორემ განა ნაცმოელთა ჩამშვებ-გამომჟღავნებლისა, კაცო!!

...ერთი ქართული მულტფილმის პერსონაჟი ლომისგან განსხვავებით, — აბა, ჩემს შვილს ხომ არ დავსჯი სიკვდილითო, რომ ამბობს, — იმ ანონიმი ჩამწერის წყალობით ნაცმოელები იძლებული გახდნენ, თავისიანისთვის მოეკვეთათ თავი, რათა ამ ეტაპზე მთლიანად ნაციონალური მოძრაობა გადარჩენოდა თავის მოჭრას.

ჰოდა, არ იქნებიან იმ „ანონიმის“ გამომჟღავნებით დაინტერესებული?

და რაკი ოპოზიციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა „გონივრულ ვადაში“ რეაგირება, პრესკონფერენციის ჩატარების დღესვე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა ვალერი გიორგობიანმა.

ნაცმოძრაობის ლიდერებმა ისიც გვამცნეს, იგი, ჩვენგან წარდგენილი დეპუტატობის აწ უკვე ყოფილი კანდიდატი, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისთვის მზად არისო.

ოღონდო, შემპარავად თქვეს, იმ თათბირზე ნალაპარაკევის ფარულად ჩამწერმაც უნდა ითანამშრომლოსო მათთან!

ალბათ, არ სურთ, რომ მისი, ამ თავმდაბალი და უპრეტენზიო ადამიანის სახელი ბოლომდე უცნობი დარჩეს საზოგადოებისთვის.

ჩემი აზრით კი, ის ჯობია, რომ სათანადო დასკვნები გააკეთონ, თორემ დეკემბრამდე, როდესაც ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა იმსჯელონ საქართველოსთვის მაპის — სამოქმედო პროგრამის მიცემის თაობაზე, განა ბევრი დარჩა.

აკი თქვეს ამას წინათ ნატოს ბუქარესტის სამიტზე — დავაკვირდებით, როგორ ჩატარდება საქართველოში 21 მაისს პარლამენტის არჩევნები და ამის მიხედვით მივიღებთ დეკემბერში გადაწყვეტილებასო!

**... ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო.**
**თურმე კოკის გატეხვასაც საკმაოზე დიდი ხმა ჰქონია!**
**მით უფრო, თუ გადმოდინებული შიგთავსია სუნიან-ხმაურიანი!**

რუსლან რუსია

ინფორმაცია

## კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრას ცდილობენ

**საქართველოს გამოსვლა ჰაერსაწინააღმდეგო სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან ადასტურებს, რომ ქართულ მხარეს არ სურს კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირება.**

**ამის თაობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.**

**— მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯები მეტყველებენ იმ ხაზზე, რომლის მიზანია აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების შესახებ მანამდე არსებული ყველა შეთანხმების ჩაშლა, — განაცხადა ლავროვმა.**

**რუსი მინისტრის თქმით, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაში იგრძნობა გამწვავების პოლიტიკა და კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრის მცდელობა.**

**გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს საქართველოში ანდრეი სმაგას გადასცა ნოტა საქართველოს გამოსვლის შესახებ 1995 წლის 19 აპრილის შეთანხმებიდან „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შორის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.**

ინტერპრესნიუსი

◉ მათქმევინეთ!

# გიდეონ რახმანი: სად ვარ მე – დასავლეთში თუ ველურ დასავლეთში?..



**ეს კითხვა დასვა გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ბატონმა გიდეონ რახმანმა პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ.**

ის, რომ საფრანგეთის ყოფილმა ელჩმა ბერნარ ფასიემ „თეთრკანიანი ზანგები“ გვიწოდა, ამის შესახებ არაერთგზის დავწერე, მაგრამ ახლა თუ ქართველები „კოვბოები“ და ამერიკელი ინდიელებიც გავხდით, ეს ნამდვილად ახალია.

ქართველები რომ გამორჩეულად ნიჭიერი ხალხი ვართ, ამას ხშირად გაიგონებდით სადღეგრძელოებში სხვადასხვა წვეულებებზე. ღმერთსაც რომ თურმე თავისთვის გადანახული მიწა უბოძებია ჩვენთვის, ესეც სადღეგრძელოებიდანაა ცნობილი, ხოლო ჩვენი საქართველო რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ესეც ყველამ კარგად იცის.

თითქოს ქართველ კაცს არც შრომისმოყვარეობა აკლია და „მსოფლიო მნიშვნელობის“ პოლიტიკოსებიც საკმარისზე მეტი გვყავანან. ხალხი კი ისეთ დღეშია ჩავარდნილი, რომ საკუთარ დაბადების დღესაც წყევლის და სხვისასაც...

მართალია, საქართველოზე უცხო ტომთა ურდოების დიდი შემოტევები იყო საუკუნეების გამნავლობაში, მაგრამ ახლა ახალი შემოტევაა სწორედ იმ ინვესტორთა წყალობით, ვინც მთელი ადგილობრივი მოსახლეობა გაძარცვა და გაალატაკა. ცხადია, დენის, გაზისა და წყლის ტარიფების რამდენჯერმე გაზრდა ამერიკული, ყაზახური თუ რუსული კაპიტალის ექსპანსიის შედეგია. გაიხსენეთ, თუნდაც „თელასის“ გასხვისების შემდეგ კილოვატსაათი ელექტროენერგიის საფასურის 2,5 თეთრიდან 16 თეთრამდე გაიზარდა!

ესეც ინვესტიციების სიკეთე! მაგრამ ჩინელებისა და თურქების მასობრივი შემოსახლება საქართველოში, ქართული მიწებისა და წყლის არაბებისთვის მიყიდვა, სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტების უცხო ტომისთვის გაყიდვა და ქართველების მონური შრომისთვის გაწირვა, რეზერვაციაში მყოფი ამერიკელი ინდიელების მდგომარეობაზეც კი უარესია.

სოციალისტური ეპოქა რომ მოვილიეთ, „დემოკრატიულ ტალღაზე“ ისე მარდად გადავეწყვეთ, რომ ხელად „გავკაპიტალისტდით“. მართალია, ამისთვის ისეთი „შოკური“ თერაპია დაგვჭირდა, რომ მრავალი და მრავალი საიქიოს გავისტუმრეთ.

სამაგიეროდ მილიონერებიც მოვიმრავლეთ ხალხის გაღატაკების ხარჯზე. უფრო მეტიც, როგორც „ფაინენშელ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ ბატონ რახმანის ინტერვიუშია ნათქვამი, **ბატონი სააკაშვილის აზრით თურმე დაახლოებით ათი მილიარდერი გვყოლია.**

ეკითხება ბატონი რახმანი პრეზიდენტს: **„ყველა მილიარდერი თქვენ გიჭერთ მხარს?“**

– „იყო აქ ერთი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ ორიოდე თვის წინ გარდაიცვალა, ლონდონში“.

**„ამ სიტყვებისას პრეზიდენტი მორცხვად იღიმება. მისთვის გასაგებია, რომ ჩემამდე მოვიდა ჭორები, რომელთა თანახმადაც, ოპონენტის სიკვდილს ხელი მანაც შეუწყო. სად ვარ მე – დასავლეთში თუ ველურ დასავლეთში?“** – კითხვას სვამს ბატონი რახმანი.

რახმანის აზრით, **„სააკაშვილი რჩება ძალიან არაერთგვაროვან ფიგურად. ჩვენ ერთმანეთს არა რესტორანში, არამედ ნახევრადაშენებულ საპრეზიდენტო რეზიდენციაში შევხვდით. შუშის გუმბათის ფორმით შენობა ძალიან ჰგავს ბერლინის რაიხსტაგს. მე ვკითხე პრეზიდენტს, ხომ არ ეჩვენება, რომ მაშინ, როცა საქართველო ღარიბი ქვეყანაა, ამდენი თანხის დახარჯვა რეზიდენციაზე ნამეტანია?**

**– „ეს ნამეტანი იქნებოდა, ამის გარდა არაფერი რომ არ გამეკეთებინა, – მიპასუხა მან – მაგრამ ჩვენ ვაშენებთ ასევე სკოლებსა და საავადმყოფოებს. ხალხი ხედავს, რომ ცხოვრება უკეთესი ხდება. თუ ჩინოვნიკი იმუშავებს ნორმალურ ოფისში, დიდი შანსია, რომ იგი ისე მოიქცევა როგორც ნორმალური ადამიანი“.**

ნეტავ, „რაიხსტაგის მაგვარი“ რეზიდენცია-ოფისი ნორმალურია, რომ პრეზიდენტი ნორმალურ ადამიანად მოიქცეს?

ის, რომ სკოლებს აუქმებს და შენობებს ყიდის, ხოლო საავადმყოფოებს დაერია და ექიმები ქუჩაში გამოყარა, ეს ბატონ რახმანსს დაუმალა, თუმცა ყველა ნორმალურმა ადამიანმა ეს კარგად იცის. თვით სკოლებში ისეთი სწავლებაა, რომ თორმეტწლიანი სწავლების შემდეგ მოსწავლეთა განათლების დონე ადრონდელი შვიდი კლასის განათლების დონეს არ სცდება.

ცხადია, საქართველოში რომ უნივერსიტეტი აღარ არის და მეცნიერება სულს ღაფავს, ამას ბატონი რახმანიც კარგად ხედავს და ეს სულაც არ უკვირს. აბა ინდიელების რეზერვაციაში უნივერსიტეტებს რა უნდა? ქართული სამართალი უსამართლობამ რომ შეცვალა, ეს „ველური დასავლეთისთვის“ სავსებით მისაღები უნდა იყოს. ის, რომ პოლიცია ქუჩაში ახალგაზრდებს უმოწყალოდ ხოცავს, თავდადებული პატრიოტი და დიდი მეცნიერი გურამ შარაძე რომ ქუჩაში ვერაგულად მოკლეს, ალბათ „ველურ დასავლეთშიც“ ხდებოდა, მაგრამ ჩვენთან მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, რადგან ქართველთა ერთი ნაწილი სწორედ შემოსეულ უცხო ტომელებთან ერთად ძარცვავს ხალხს და ამით მილიონერებიც გახდნენ და მილიარდერებიც.

„კოვბოობა“ მართლაც დიდი საქმეა, რადგან ბატონი რახმანის აზრით, **„სააკაშვილი დღეს ყველაზე ძლიერი დასავლელი „მეფის“ – ჯორჯ ბუშის მეგობარია. თუმცა ამ მეგობრობამაც ვერ უშველა მას მთავარი პოლიტიკური მიზნის მიღწევაში. ბუქარესტში, აპრილში გამართულ ნატო-ს სამიტზე საქართველომ ვერ მიიღო „მაპ“-ი და იძულებული გახდა, ოდესმე ნატოში საქართველოს გაწევრების ბუნდოვან დაპირებას დასჯერებოდა“.** თანაც, თურმე, პრეზიდენტის აზრით, **„ქართველი ხალხი ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ დიდი ევროპული სურათის ნაწილია“.** რახმანი კი თვლის, რომ „თუ **ქართველებისთვის მათი ევროპულობა ცხადია, სხვა ევროპელები ამაში ყოველთვის დარწმუნებულები არ იყვნენ“.**

იმ „ევროპული სურათის“, თუ იმ „აზიურის“, სადაც მდიდარ მეპატრონეს ქართველი მონა გასაყიდლად გამოუყვანია?

ასე, ჩვენი პრეზიდენტი უფრო ამერიკელია ვიდრე ქართველი, თორემ რომელ საუკუნეში თვლიდა ქართველი თავის თავს ევროპელად? იქნებ ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვების შემდეგ? იქნებ სულხან საბა ორბელიანმა, ევროპის კარი რომ გადაურაზეს? იქნებ ადრე ვახტანგ გორგასალს ან დავით აღმაშენებელს უთქვამს „ევროპელი ვარო“ და ჩვენ არ ვიცით?

მე კი მგონია, რომ ჩვენ კავკასიელი ქართველები ვართ!

**„ველური დასავლეთისთვის“ კი განათლებულობა ზედმეტი კი არა, სახიფათოცაა იმ მმართველობის სისტემისთვის, რაც ამერიკელმა „კოვბოებმა“ თავს მოგვახვიეს.** სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სხვადასხვა ფონდი, რათა საქართველო ნიჭიერი ახალგაზრდებისგან დაიცალოს და ისინი მამლუქებად აქციონ, ამ ქვეყნის დაქცევაში ხელი რომ არ შეგვიშალონ. სამაგიეროდ აქ მრავალი ბავშვი მათხოვრებად და ქურდბაცაცებად ვაქციეთ.

ქვეყნის დაქცევის პროცესი კი მართლაც დიდი სტაბილურობით გამოირჩევა. სამაგიეროდ, ქართული ხალხური „ველური დასავლეთი“ მივიღეთ, სადაც ინტელიგენციის ადგილი თურმე აღარ ყოფილა. თუმცა, ალბათ, როგორმე „განვითარებადი ქვეყნის სტატუსი“ უნდა შევინარჩუნოთ!

მოწინააღმდეგე ინტელიგენციის გენოციდი ჩვენთვის ახალი არაა და 37-იანი წლების რეპრესიებმა ძალიან მძიმე შედეგი გამოიღო, მაგრამ თუ მაშინ ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლას ტყვიით აწარმოებდნენ, დღეს ეს მძიმე ეკონომიკური მარწუხებით ხდება. უბრალოდ, „შავი“ ტყვია „მწვანე“ დოლარმა შეცვალა და ინტელიგენცია ან უნდა „ჩაირეცხოს“ და გაქრეს, ან რამე სხვად გარდაიქმნას. ხელისუფლება აშკარად აცხადებს, რომ მას მოსახლეობის განათლებული ფენა არ სჭირდება და ეს ფენა ან შიმშილით უნდა დაიხოცოს, ან მიატოვოს თავისი ჩვეული საქმიანობა.

მძიმე დღეშია ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ზოგმა თავს უშველა და საზღვარგარეთს შეაფარა თავი. მათ დაბრუნების შანსიც გადაეწურათ, რადგან აქ დარჩენილების მძიმე ხვედრი მათთვის კარგადაა ცნობილი.

თბილისი მათხოვრებით გაივსო, ყოველი მეოთხე დედა ახალშობილზე უარს ამბობს, ლუკმა პურისთვის შვილს ყიდის...

ჩვენ უდიდესი სიმდიდრე დავაგროვეთ კულტურისა და მეცნიერების სფეროში, რასაც ახლა გულმოდგინედ ვანადგურებთ. ასევე ვანადგურებთ ქართველისთვის დამახასიათებელ ერთმანეთისადმი თანადგომას. ეკონომიკური სიდუხჭირე ის ძირითადი ფაქტორია, რომელმაც ერი გათიშა. გამდიდრებისკენ დაუოკებელი სწრაფვა მხოლოდ კრიმინალურ სიტუაციას ძაბავს, ძლიერი სუსტს ძარცვავს და იძულებული ვართ, რომ პოლიციური რეჟიმის სახელმწიფო შეიქმნას.

ჩვენებური პრივატიზაცია საკუთარი წარმოების გასანადგურებლად გამოვიყენეთ, რადგან აგრერიგად მომრავლებულ „სპეკულიანტებს“ (ბიზნესმენობა რომ დაიბრალესძ, ფართო ასპარეზი შეიქმნებოდა თურქულ-ირანული თუ გადასაყრელი ევროპული და ჩინური საქონლის შემოსატან-გასასაღებლად. სწორედ ამიტომ უნდა ჩამკვდარიყო „ლაღიძის წყლები“, რომ „კოკა-კოლას“ და „ფანტას“ ემეფა.

ამერიკელთა რეკომენდაციები მხოლოდ ამერიკელებისთვისაა სასარგებლო და სარფიანი. დასავლეთმა და თურქეთმა, რუსეთთან ერთად უკვე დაიპყრეს ჩვენი ბაზარი და ამით დიდად კმაყოფილნი უნდა იყვნენ. **სამაგიეროდ, შეიძლება რაღაც გადმოგვიგდონ, როგორც მათხოვრებს, რომლებსაც არც საკუთარი აზროვნება აქვთ და არც საქმის გაკეთების უნარი გააჩნიათ.**

მხოლოდ უცხო ტომელებმა იციან, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ ვიფიქროთ, როგორ უნდა გავანადგუროთ მეცნიერება, განათლება, კულტურა, რათა შევქმნათ პოლიციური რეჟიმის „მოთვინიერებული“ სახელმწიფო, სადაც უცხოელი კეთილისმსურველები თავისუფლად იპარპაშებენ და შავ მუშებად ისევ ქართველებს დაიქირავებენ. იქნებ ეს უფრო სასტიკი ანექსიაა, ვიდრე, ოდესმე მომხდარა?

**მერაბ ჯიბლაძე,**

**„ქართული აკადემია“**

◉ ინფორმაცია

## დესპანს ნოტა გადასცეს

**საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ტორონჯაძე რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს საქართველოში ანდრეი სმაგას შეხვდა.**

**დესპანს ნოტა გადაეცა საქართველოს გამოსვლის შესახებ 1995 წლის 19 აპრილის შეთანხმებიდან, "საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შორის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ".**

## უსარგებლო სამინისტრო და მინისტრები

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოში სამი უსარგებლო სამინისტროსა და მინისტრის გამოვლენას აპირებენ.**

**გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, თანაგუნდელებთან ერთად საქართველოს მასშტაბით გამოკითხვას ჩაატარებს, რომლის დროსაც მოსახლეობა შესაბამის კითხვებზე გასცემს პასუხს.**

**„ჩვენ ერთ კვირაში უკვე ნათელი სურათი გვექნება, რომელია ყველაზე უსარგებლო მინისტრი და სამინისტრო. ამის შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ უკვე დაიწყებს პერმანენტულ აქციებს, რათა მოხდეს აღნიშნული სამინისტროების რეორგანიზაცია და მინისტრების შეცვლა – აღნიშნა ზაზა გაბუნიამ.**

**მისივე თქმით, მას უკვე ჰყავს სამი „ფავორიტი“ მინისტრი, რომელთა შეცვლა ქვეყნისთვის აუცილებელია, რადგან მათ ხალხის აზრი არ აინტერესებთ.**

**გაბუნიას განცხადებით, მათთვის უსარგებლო მინისტრები არიან შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური.**

ინტერპრესნიუსი

**გულის ბუხარი**

# დაბრუნდებიან კია წასულნი?

## ბადრი აღარ არის და დემოგრაფიაც მიივიწყეს!

*ჩვეულებისამებრ, იმ დილითაც გზა ფალიაშვილის ხეივნით დავიმოკლე. გაზაფხულის სუნთქვა აქ ძალუმად იგრძნობა, ფიჭვები და ნაძვები მწვანედ ხასხასებენ.*

*— ხომ არ დაგვლოცავდი? — მამაკაცის მყიფე ხმამ თვალსა და ხელს შუა გამიქრო დილის იდილია.*

*ლამაზად გადახურულში გაშლილ მაგიდას ათამდე მამაკაცი შემოსჯდომოდა. მათი იქ ყოფნა სულაც არ იყო ჩემთვის უცხო, ისინი ხომ ყოველ ცისმარე მწირ წასახემსებელზე „ისველებენ“ ყელს.*

*ხოლო ვინც მიმიპატიჟა, არცთუ დიდი ხნის წინათ ცნობილი მშენებელი იყო, მის კაი კაცობაზე მეც ვთქვი ორიოდე თბილი სიტყვა, თავმოყვარე და ოჯახის კაცზე, კარგი შვილების აღმზრდელზე.*

*არც მის „სამეგობრო“ წრეს ეთქმოდა ცუდი, ზოგი მათგანი იყო ქიმიკოსი, მეტალურგი, მეამწე, სხვადასხვა პროფესიის პროფესიონალი.*

სამწუხაროდ, იყვნენ...

ამგვარ საკრებულოს მარტო ამ ხეივანში როდი შეხვდები.

ნებისმიერ ქუჩაზე, ნებისმიერ ეზოში შეიხედეთ — დილით გამოლაგდებიან ჯან-ღონით სავსე, ზოგი სიჭარმაგემდე ჯერაც ვერმიღწეული, ახალგაზრდა პენსიონერი — როგორც მათ ეძახიან, ზოგიც ჭარმაგი, ცოდნა-განათლება-გამოცდილებით დახუნძლული, ზოგიც...

გამოლაგდებიან და გააჩაღებენ ნარდს, დომინოს, ბანქოს, ბოლოს საქმე ჭიქამდე მიდის.

ის ჩემი ახლო ნაცნობი, მართლაც გამორჩევით რომ მიყვარდა, ახლა ამ კატეგორიას განეკუთვნება. იგი ხუთი შვილის მამაა, ცოლი გვიან შეირთო, თვითონ სამსახური დაკარგა, დედამ შვილებსდამუქრებული საფრთხე რომ იგრძნო, როგორღაც იელოველები გამოუჩნდნენ მხსნელად. ისინი ხომ ყველგან დაძრწიან.

იმ დღეს მეზობლის ქალმა თავისი შვილები იელოველის ზავშვებს დაუფარავად გამოარიდა. ესენი იელოველები არიან, ხომ გითხარი, მათთან არ ითამაშოთო, — დაუტატანა დედამ პატარებს. არადა, არც ერთმა იცის, რა არის იელოველი, არც — მეორემ. ამ სურათმა შემძრა. დამენანა ჩემი ნაცნობის უმანკო ბალღები.

აი, დილის სირჩას დაწაფებულთა მეუღლეები კი, თუ ყველა არა, უმრავლესობა, დიდიხანია ან თურქეთშია, ან საბერძნეთში, ესპანეთში, რომელი ქვეყანა ჩამოვთვალო... ვინც დოლარს აგზავნის, ანუ დოლარის ქვეყნიდან ინახავს ოჯახს, მათი საქმე დღითი დღე მძიმდება: ჩვენი ხელისუფლება ხომ ყუნწში ძვრება, როგორმე დოლარი გაალაროს და რაც შეიძლება მეტი ჩაიჯიბოს. ასე თუ ისე, ის ქალბატონები არჩენენ თავისიანებს და ქმრებს, ყველაფერზე ხელი რომ აქვთ ჩაქნეული, ჭიქა არყითაც ამაგრებენ, ანუ აძლიერებენ.

მე კი ამ სურათმა ჩემი ქვეყნის დემოგრაფიულ კატასტროფაზე დამაფიქრა.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ აწ უკვე სასუფეველში მყოფმა, სულკურთხეულმა ბადრი პატარკაციშვილმა ერის დემოგრაფიული აღორძინების ისეთი პროგრამა შემოგვთავაზა, პრეზიდენტსა და მის გუნდს ლამის თვალები დაუბნელდა და მათაც დაპირების კორიანტელი დააყენეს.

მერე ბატონი ბადრი გაისტუმრეს და...

დღეს არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია, კრინტს არა ძრავს ქვეყნის ამ მართლაც და ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაზე.

მარტო ეკლესია და ერის სულიერი მამა რას გახდება.

3 მარტს, დედის დღეს, ერთი ჩემი ნაცნობი ქალბატონი, 5 შვილის დედა (საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან ასეთი დედები) რუსთავის მერიამ საზეიმო სუფრაზე მიიპატიჟა.

დედებს იქ ყავითა და ტკბილეულით, თბილი სიტყვებითაც გაუმასპინძლდნენ, ბოლოს ყავის ჭიქებით დაასაჩუქრეს.

აი სადამდე დავიდა ამ ხელისუფლების დემოგრაფიული პოლიტიკა.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის ახალი რწმუნებული ბატონი კირკიტაძე წარამარა ხვდება პედაგოგებს, ახალგაზრდებს, ტელევიზორებით ასაჩუქრებს მათ, თან დიპლომატიურად აფრთხილებს, არჩევნებზე მხოლოდ ნაციონალები შემოხაზეთ, სხვაზე ხელი არ წაგცდეთო.

კომუნისტებისგან ღირსეულად გადმოიღეს — სხვაგვარად მოაზროვნეებს ეგრევე ატოვებინებენ სამსახურს.

აი, დემოგრაფიულ პრობლემებზე ბატონ კირკიტაძეს კრინტი არ დასცდენია.

თვით პრეზიდენტს არ ახსენდება და!..

ერთ ახალგაზრდა რუსთაველს ვიცნობ, ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის და მეუღლე მეექვსე შვილზე ჰყავს ფეხმძიმედ.

განათლებით ინჟინერს, რუსთავში სამუშაო ვერა და ვერ უპოვნია. არადა, რუსთავი ხომ თბილისის შემდეგ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრია.

კიდევ ორიოდე კვირა და, ათასობით ახალგაზრდა სკოლების, ინსტიტუტების, სხვადასხვა სასწავლებლის კედლებს გამოეთხოვებიან.

დაოჯახებაზე ფიქრიც ხომ ზედმეტია.

ისინი უკვე უცხოეთში გადასახვეწად იჭერენ თადარიგს, ყველა არა, მაგრამ...

საზღვარგარეთ გასაპარად 2500-დან 4000 ევრომდეა საჭირო, გააჩნია, რომელ ქვეყანაში.

ეს თანხა კი მშობლებმა უნდა გაიღონ.

ახლახან ნაცების ერთ დიდმოხელესთან ერთად რესტორანში მოვხვდი. თამადა ვიყავი და მორიგი სადღეგრძელო უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისა ვთქვი, ღმერთმა ინებოს მათი მალე დაბრუნება-მეთქი.

გაოცდა ნაციონალი. რატომ უნდა დაბრუნდნენ, ისინი ხომ იქაურობას კარგად შეეგუენ, რომ დაბრუნდნენ, აქ რა უნდა აკეთონო!...

მაინც რამ შეაძულა ხელისუფლებას ქართველობა, ჩვენი ჯიში და გენი?

**გივი ჯახუა**

**საკ. კორ. ქ. რუსთავი**

**ინფორმაცია**

## გიორგობის დღესასწაულზე საინგილოში

**„ქრისტიან-დემოკრატიული** მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, თანაგუნდელებთან ერთად, გიორგობის დღესასწაული საინგილოს ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში აღნიშნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისიდან აცნობეს, გიორგი თარგამაძესთან ერთად საინგილოში გიორგი ახვლედიანი და მაგდა ანიკაშვილიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში აღნიშნეს.

საინგილოში ქართველი პოლიტიკოსების ვიზიტი აზერბაიჯანის საელჩოსთან შეთანხმებით განხორციელდა.

## სოხუმთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხი არ განიხილება

**აფხაზეთის** დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან სამხედრო კონტროლის დამყარების შესაძლებლობა არ განიხილება.

როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ სოხუმი, უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ, რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტროლის დამყარებასა და ფართო სამხედრო თანამშრომლობას სთავაზობს.

— ამასთან დაკავშირებით არანაირი წინადადება არ შემოსულა და ვფიქრობ, ამაზე საუბარი არ არის, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

## აჭარა მისაბაძი უნდა გახდეს

**აჭარის** უზენაესი საბჭოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე ზამბახიძე მიიჩნევს, რომ აჭარაში მიმდინარე განვითარების პროცესები საქართველოს დანარჩენი ავტონომიისათვის მისაბაძი უნდა გახდეს.



როგორც პეტრე ზამბახიძემ „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, 4 წლის წინათ აჭარის რეგიონი პრაქტიკულად გასული იყო საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან, აჭარაში მომხდარმა რევოლუციამ კი რეგიონში შეცვალა ავტორიტარული რეჟიმი და ავტონომიურ რესპუბლიკას განვითარების შესაძლებლობა მისცა.

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. 4 წლის წინათ, 6 მაისს აჭარაში დიდი ზეიმი იყო. გაიქცა დიქტატორი მმართველი და რეგიონის განვითარება დაიწყო. აჭარა განვითარდა, გაძლიერდა დემოკრატიული ღირებულებები. 6 მაისის რევოლუცია იყო დასაბამი ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისა და გაერთიანებისა. ის, რაც აჭარაში გაკეთდა, ეს უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი სხვა ავტონომიებისთვის. ვარდების რევოლუციამ აჭარაში შეცვალა აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი და ჩვენს რეგიონს მისცა განვითარების შესაძლებლობა.

## ევროპელთა გამოცდილებას ეცნობიან

**უზენაესი** სასამართლოსა და ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მოსამართლეები, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, საარჩევნო დავების ევროპულ სტანდარტებს განიხილავენ და ასევე ქართულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ანალიზს აკეთებენ.

ტრეინინგზე უცხოელი ექსპერტები, ქართველ მოსამართლეებთან ერთად, ძირითადად ქართული საარჩევნო დავების პრაქტიკის თავისებურებებს და მათი გადაჭრის გზებს განიხილავენ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის განცხადებით, ქართველი მოსამართლეები 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს კვალიფიციურად განიხილავენ.

## ჰაერსაწინააღმდეგო შეთანხმებიდან საქართველოს გამოსვლა არაფერს ცვლის

**სამხედრო** ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს გამოსვლა ჰაერსაწინააღმდეგო შეთანხმებიდან პრაქტიკულად არაფერს ცვლის. ექსპერტის განცხადებით, ეს ხელშეკრულება დიდი ხანია არ მუშაობდა და ამ ხელშეკრულების არსებობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს რუსეთისათვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია კავკასიაში სამხედრო-საჰაერო კონტროლის შესახებ, თუმცა საქართველო დიდი ხანია რუსეთს ასეთი სახის ინფორმაციას არ აწვდიდა.

— ეს შეთანხმება დიდი ხანია არ მუშაობდა, ამიტომ საქართველოს გამოსვლა შეთანხმებიდან პრაქტიკულად არაფერს ცვლის. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ეს სისტემა კარგად იყო აწყობილი, კავშირის წევრი ყველა სახელმწიფო საკუთარი საჰაერო კონტროლის შესახებ ინფორმაციას რუსეთს აწვდიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს შეთანხმება დსთ-ს ფარგლებში გაფორმდა, თუმცა ეს გაცილებით არაეფექტური იყო, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ირაკლი ალადაშვილმა.

## ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიულ კურსს ეწინააღმდეგება

**საქართველოს** თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია ქართული მხარის მიერ 1995 წლის ხელშეკრულებიდან გამოსვლას ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნის შესახებ რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ნატოში ინტეგრაციას ეწინააღმდეგება.

— ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი პოლიტიკური ნაწილია, ხოლო მეორე — ტექნიკური. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, აქ არის რამდენიმე შემადგენელი ელემენტი. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიულ კურსს ეწინააღმდეგებოდა. საქართველოს გაცხადებული აქვს თავისი პოლიტიკური კურსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ არანაირი სამხედრო ტიპის ღონისძიებებში დსთ-ს ფარგლებში საქართველო არ მონაწილეობს და ტექნიკურადაც საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი საჰაერო სისტემები, ნატოს სტანდარტების თანამედროვე სისტემებია“, — განაცხადა ქუთელიამ და დასძინა, რომ საქართველოს აქვს სუვერენული უფლება გადაწყვიტოს იყოს თუ არა ამ ხელშეკრულებაში.

## კანდიდატის ახალი ინიციატივა

**გუშინ**, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, თეიმურაზ შაშიაშვილის საარჩევნო შტაბში „თავისუფალი აზრის“ დარბაზი შეიკრიბა. ეს ინიციატივა ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის წარმომადგენელს თემურ შაშიაშვილს ეკუთვნის. მისი თქმით, დარბაზში საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირების საშუალება ყველა მსურველს ექნება.

დარბაზობა ყოველდღიურად, 20:00 საათზე შედგება.

## საარჩევნო სიებში უამრავი არარსებული მისამართია!

**გუშინ** დიდუბეში, წერეთლის №13-ში გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის დავით საგანელიძის საარჩევნო შტაბის პრეზენტაცია გაიმართა.

საგანელიძის განცხადებით, დიდუბე-ჩუღურეთში სულ ოთხი შტაბი იმოქმედებს, აქედან ორი დიღომში, ერთი კი აღმაშენებლის გამზირზე განთავსდება. მისივე თქმით, იმოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის საფუძველზეც პარტიის წარმომადგენლები მოქალაქეებისაგან შემოსულ წინადადებებსა და მოთხოვნებზე რეაგირებას მოახდენს.

— საარჩევნო სიებში უამრავი არარსებული მისამართია შეტანილი. არის უამრავი კორპუსი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ამ კორპუსებში არარსებული ამომრჩეველია რეგისტრირებული. არის უამრავი ბინა, სადაც ერთოთახიან ბინაში 25 ადამიანია რეგისტრირებული. ასეთი გაზრდილი სიებით ცდილობს ხელისუფლება არჩევნების მოგებას, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ◎ ტყუილს ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!..

***ალბათ, გადაჭარბებულად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი მრავალნაცადი და ცხოვრებით დაბრძენებული ნაციონალები საპარლამენტო არჩევნებისათვის ამჯერადაც მათთვის ჩვეული გულისხმიერებითა და სკურპულოზულობით მოემზადნენ. ამაზე მიგვანიშნებს სლოგანიც – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“, რომელიც მათ ხალხის გულის მოსაგებად, უფრო სწორად, არჩევნების მოსაგებად აღზევებულებმა მორიგი გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე წაიმძღვარეს. თუმცა სლოგანი სლოგანად დარჩა, თავად ნაციონალები კი, როგორც ირკვევა, ლაპარაკს ეგრე იოლად ვერ შეელივნენ. პირიქით, თუ გამონაკლისებს (ბოკერიას, კირკიტაძეს, ნადირაძეს და კიდევ რამდენიმე მსხვილ პოლიტიკოსს) გამოვრიცხავთ, ბოლო პერიოდში მათ ლაპარაკს მოკლების ნაცვლად კიდევ უფრო მოუმატეს.***




არადა ხალხი როგორი დაიმედებული იყო. ბევრი ხმამაღლა აცხადებდა: ეტყობა, ღმერთმა გადმოგვხედა, ესენი ლაპარაკს თუ გადაეჩვივნენ, ბუნებრივია, ვეღარც ტყუილებით გაგვბერავენ და ამდენი დაბოლებისა და თვალებში ნაცრის შეყრისგან როგორმე თავს დავაღწევთო. სამწუხაროდ, არ გაუმართლათ, გასულ შაბათს გამართულ ნაციონალების თავყრილობაზე კიდევ იმდენი ტყუილი ითქვა, თავად დუტას ზღაპრების პერსონაჟებსაც კი შეშურდებოდათ. იმათგან ყველას სად გაიხსენებს კაცი, მაგრამ ზოგი „კალმახა ტყუილის“ დასახელებაც ალბათ საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დანარჩენი გადაფაროს.

ამ მხრივ, როგორც ყოველთვის, გამორჩეული იყო ყრილობაზე ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლა, რომელსაც გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის მოვლენების შემდეგ ეყო გამბედაობა, ჩვეული რიხით წაეტრაბახა, რომ ნაციონალების მმართველობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში, სამართლებრივ ურთიერთობებში, სოციალურ და რიგ სხვა სფეროებში მოხდა სასწაულები. ოღონდ იმის თქმა დაავიწყდა, როგორ მოხდა, რომ ამ სასწაულების ფონზე საქართველოში ხალხი დაუსაქმებელი და მშიერი დარჩა (!ძ. სად არის ამაში ლოგიკა, თუ საქართველო მართლაც სასწაულების ქვეყანაა, მაშინ რატომ დასჭირდა პრეზიდენტს ქვეყნის სიღარიბის ჭაობიდან ამოსაყვანად ახალი პროგრამის შექმნა, რომლის დევიზია „საქართველო სიღარიბის გარეშე“! (?ძ.

ამ ურთიერთსაპირისპირო მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირის აღქმა ალბათ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ხალხის დასაქმების პრეზიდენტისეულმა პროგრამამ რომ მოსალოდნელ შედეგებს ბევრად გადააჭარბა, ამის აღიარებას წინ ვერაფერი გადაუდგება. ამის დასტურია დასაქმების რეგისტრაციის პუნქტებთან ასიათასობით ადამიანის მიერ ჭყლეტაში გატარებული ღამეები, რათა მათ 3 თვის განმავლობაში შიმშილისგან თავის დასაღწევად მიეღოთ ხელისუფლებისგან სამათხოვროდ გადმოგდებული 600 ლარი. სინამდვილეში ეს არ იყო არც ხალხის გადამზადება და არც დასაქმება, იმათგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მიიღო სამუშაო, დანარჩენები, როგორც იტყვიან, ფორმალურად, ანუ დაუსაქმებლად დასაქმდნენ. აი, ამ დაუსაქმებლად დასაქმებულებმა თავიც მოიტყუეს და სახელმწიფო ხაზინაც აზარალეს. თანაც ეს უკვე მერამდენედ. ამისთანა „ექსპერიმენტს“ ხომ ადრეც მიმართა ხელისუფლებამ, მაგრამ უშედეგოდ. აბა რიღასთვის დასჭირდა მთავრობას „ძველი გაკვეთილის“ გამეორება? ისევ და ისევ ხალხის გასაცურებლად, მისი სიცრუის ანკესზე წამოსაგებად.

ასეა, ტყუილს მოკლე ფეხები იმიტომ აქვს, რომ შორს არ გაგექცეს, სწრაფადვე ჩასჭიდო ყურებში ხელი და მის შემოქმედს ცხვირიდან ძმარი ადენინო. თუმცა ჩვენში რატომღაც ყველაფერი უკუღმა ხდება. ეს მშვენივრად მოეხსენება ხელისუფლებას და აქეთ უპირებს ხალხს გაცუცურაკებას, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ აღარ გამოუვა. უკვე ყველამ გაიგო, რომ ინვესტიციების ბუმი საქართველოში, რომელიც 2006 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, უფრო მთავრობის ჯიბის გასქელებას ხმარდება და არა უმუშევართა არმიის შემცირებას. თუ ასე არ არის, მაშინ აგვიხსნან, რატომ ხდება, რომ ქვეყანაში მილიარდობით შემოსული უცხოური ინვესტიციების მიუხედავად, უმუშევართა რაოდნობა შემცირების ნაცვლად იზრდება? ამას, ექსპერტები ამბობენ, თორემ სტატისტიკის დეპარტამენტს, რომელსაც ციფრებს, როგორც წესი, ზემოდან კარნახობენ, რა ღმერთი გაუწყრება და სიმართლე წამოსცდება? ამ უკანასკნელის მონაცემებით, შესაშფოთებელი არაფერია, 2005 წელს თუ საქართველოში უმუშევრობამ 13,8 პროცენტი შეადგინა, 2006 წელს 2 პროცენტი მოიკლო და 13,6 პროცენტამდე „ჩამოქვეითდა“.

ეს წინა წლებში, მაგრამ შარშან როგორი სურათი გვქონდა? რა ეჩქარებათ, ამაზე კაიხანს იფიქრებენ და პასუხს ალბათ წლის ბოლოსთვის შევიტყობთ. ისე გაუგებარი კია, მაინც ხომ ტყუილი უნდა თქვან და ამდენი ფიქრი რაღასთვის სჭირდებათ? ალბათ სწორედ ტყუილისთვის, თორემ სიმართლის თქმა რომ უნდოდეთ, საფიქრალიც აღარაფერი ექნებოდათ.

მიუხედავად ამდენი ფიქრისა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებში ურთიერთგამომრიცხავი ციფრები მაინც გვხვდება. 2002 წელს, მაგალითად, თბილისში რეგისტრირებული იყო 21,9 ათასი უმუშევარი, 2003 წელს – 42,9 ათასი, 2004 წელს – 46 ათასი, 2005 წელს – 34 ათასი, 2006 წელს – 22 ათასი ადამიანი. რეგისტრირებულ დაუსაქმებელთა შემცირება, ბუნებრივად, უმუშევართა დონის შემცირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, მაგრამ საქართველოში პირიქით მოხდა, 2000 წლიდან მოყოლებული უმუშევრობის მაჩვენებელი 10-დან 13,6 პროცენტამდე გაიზარდა (?!ძ.

ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის დასაქმება რეალურად რომ არ აინტერესებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ შარშან ივლისში მთავრობამ ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული დასაქმების სააგენტო დააუქმა და უმუშევართა ბედი ფაქტობრივად კერძო სააგენტოებს გადააბარა. ამ სააგენტოებში კი დასაქმებას მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის საფასურად ჰპირდებიან, თანაც ვაკანსიები შეზღუდულია და ძირითადად ისინი დამლაგებლის ან ძიძის ადგილის შოვნით შემოიფარგლება. არსებობს ისეთი სააგენტოებიც, რომლებიც მუშაობის დაწყებამდე ტრეინინგის გავლას და მასში 100-დან 300 დოლარამდე გადახდას ითხოვენ. თუმცა უმუშევარი ამ შემთხვევაშიც არ არის დაზღვეული, მას შეიძლება შეატყობინონ, რომ ტრეინინგი წარუმატებლად გაიარა და სამუშაოდ ვერ მიიღებენ.

# დაუსაქმებლად დასაქმებულნი...



აი, ასეთი სააგენტოების იმედად აპირებს ხელისუფლება პრეზიდენტის დასაქმების პროგრამის რეალიზებას. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, დღემდე საქართველოშია აღწერაც კი არ ჩატარებულა, რათა გაგვეგო, რამდენია სულ უმუშევარი და აქედან რამდენი ეძებს რეალურად სამსახურს. რაც შეეხება სოფელს, იქ დასაქმებულად ითვლება ყველა, ვისაც მიწის ნაკვეთი და ერთი სული პირუტყვი მაინც ჰყავს.

რა შეიძლება ვუწოდოთ დასაქმების ასეთ პროგრამას (თუნდაც მას პრეზიდენტის პროგრამა ერქვასძ, ხელისუფლების მორიგი ტყუილი თუ აფიორა? ალბათ, ორივე ერთად. და ისიც ვურჩიოთ, თუ უნდათ, რომ წინა არჩევნების დარად ეს არჩევნებიც „მოიგონ“, დროა მატყუარა სლოგანი – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“ რეალური სლოგანით – „ტყუილი საქმის ნაცვლად“! – შეცვალონ. მერწმუნეთ, ამ დევიზით გამარჯვება უფრო გარანტირებული ექნებათ.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ ვინ – ვის?

# „კახელი“ მაღალჩინოსნები წინასაარჩევნო კამპანიაში...

**კახელი მაღალჩინოსნები მმართველი პარტიის კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაებნენ. თანამდებობის პირთა მხრიდან კანონის უხეში დარღვევებით საია-ს კახეთის ოფისი დაინტერესდა, რის შედეგადაც შესაძლოა, რამდენიმე მათგანის პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას.**

თელავში „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფარნა მაყაშვილი სამუშაო საათებში გია არსენიშვილის წინასაარჩევნო კამპანიით არის დაკავებული და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სხვადასხვა შეხვედრებში იღებს მონაწილეობას როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თელავის ოფისის იურისტმა მიხეილ სიბაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ქმედება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ მემორანდუმს ეწინააღმდეგება, რაც თანამდებობის პირის მიმართ ადმინისტრაციულ ჯარიმას ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური ვითარებაა კახეთის თითქმის ყველა რაიონში. დედოფლისწყაროელები ჩვენთან საუბრისას დაუფარავად ამბობენ, რომ რაიონის მაღალჩინოსნები სახელისუფლებო კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობენ. სახელისუფლებო გუნდის მაჟორიტარმა კანდიდატმა ავთო ლეკაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ მის საარჩევნო შტაბს ლევან ჯამალაშვილი ხელმძღვანელობს. არადა, როგორც გამგეობის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა გვაცნობა, ჯამალაშვილი სოციალურ და ჯანდაცვის რაიონული სამსახურის უფროსი გახლავთ.



როგორც ლეიბორისტული პარტიიდან ახმეტის მაჟორიტარად წარდგენილმა ეთერ მიქელაძემ გვაცნობა, ახმეტის საკრებულოს წევრებიც პეტრე ცისკარიშვილის საარჩევნო შტაბის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული. კომიკური ვითარება გახლავთ სიღნაღშიც. მით უფრო, რომ რეგიონში მოქმედი არასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციები სახელისუფლებო კანდიდატ ნუგზარ აბულაშვილის დაბალ რეიტინგზე ხმამაღლა საუბრობენ და აცხადებენ, რომ სიღნაღში მის მადლიერს ვერავის ნახავთ...

**ილია მარტყოფლიშვილი**

**კახეთიდან**

◎ ისრაელი — ახალი სახელმწიფო

# ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი...

***ებრაელი ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბინადარია. ებრაელთა ისტორია ოთხ ათასწლეულს მოითვლის. ეს ისტორია კი საოცარია. ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში სხვა ხალხი, რომელმაც დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, გაიფანტა მთელ პლანეტაზე, სულ ცოტა ორი ათასი წელი თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ იარსება და მაინც შეძლო დარჩენილიყო ერთიან ხალხად. და სწორედ ორი ათასი წლის შემდეგ ძველ მიწა-წყალზე შექმნა სახელმწიფო — ისრაელი.***

***60 წლის წინ, 1948 წლის 14 მაისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, დიდი ბრიტანეთის სამანდატო ქვეყნის — პალესტინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ისრაელის სახელმწიფო. დაფუძნების უმალ ამ ქვეყანას აურაცხელი პრობლემა შეექმნა, ისე როგორც ებრაელობას უძველესი დროიდან; ეს პრობლემები რამდენადმე დღემდე გადაუჭრელია...***

პირველი გამოჩენილი პირი ებრაელთა ისტორიისა აბრაამია, რომელმაც დაახლოებით 1900 წელს ჩვენს ერამდე, თავის ოჯახთან ერთად დატოვა ქალაქი ური (ხალდების ქვეყანაძ და გაემართა დასავლეთისკენ ახალი მიწების საძებნელად. „ბიბლიის“ ცნობით იგი ქანაანში დასახლდა. აქ გაიზარდა აბრაამის შვილი და მემკვიდრე ისააკი. აქვე დაიბადა და გაიზარდა ისააკის შვილი იაკობი. ეს სამეული: აბრაამი, ისააკი და იაკობი, „ბიბლიის“ მიხედვით, პირველ პატრიარქებად ითვლებიან, რომელთაც საფუძველი დაუდეს ისრაელის ქვეყანას.

იაკობი და მთელი ებრაელობა ეგვიპტეში გადასახლდნენ, სადაც უმძიმეს პირობებში — მონობაში მოუხდათ ცხოვრება. მოსე წინასწარმეტყველმა შეძლო ებრაელთა გამოყვანა ეგვიპტიდან დაახლოებით 1300 წელს ჩვენს ერამდე და დააბრუნა სამშობლოში. ამ მოვლენის აღსანიშნავად ებრაელობა საყოველთაოდ ყოველწლიურად აღნიშნავს ფასეხის დღესასწაულს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ებრაელთა საცხოვრისს წარმოადგენდა ისრაელისა და იუდეველთა სამეფოები. ორივე ეს სამეფო იმ დროის მნიშვნელოვანი სახელმწიფოები იყო.

ისრაელის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის 722 წელს ასურეთმა დაიპყრო, იუდეველთა სახელმწიფო კი ძველი წელთაღრიცხვით 586 წელს ბაბილონმა გაანადგურა. ამ პერიოდებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული ებრაელების განსახლება (გაფანტვაძ, ანუ მასობრივი გადასახლება და დამკვიდრება სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით გაძლიერდა ებრაელთა მიგრაცია (გადასახლებაძ რომის მიერ იუდეის დაპყრობის შემდგომ (ძვ. წ. 63 წ.ძ. ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში. ებრაელთა გადასახლების პროცესი შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. იმჟამად ეს მოვლენა, სხვა გარემოებებთან ერთად, განპირობებული იყო ევროპის ქვეყნების ვაჭრობის განვითარებით. ნიშანდობლივია, რომ ებრაელობამ აითვისა ადგილობრივი ქვეყნების ენა და კულტურა, თუმცა საკუთარი ჩვევები და რწმენა არ დაუკარგავს. ევროპის ქალაქებში ჩასახლებული ებრაელები კარჩაკეტილ თემებად ცხოვრობდნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. შეძლებული ებრაელები მევახშეობდნენ. ებრაელები მოხერხებულნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, რაც ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნების კონკურენციას იწვევდა და თავისთავად აღვივებდა წინააღმდეგობას დამხვდურთა და ჩამოსახლებულთა შორის, იზრდებოდა ანტისემიტური მიდრეკილებები. სხვადასხვა დროს ებრაელ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა უკიდურესად მწვავდებოდა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ებრაელთა მასობრივი დარბევა მოეწყო. შედეგი ის იყო, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ებრაელთა დიდი რაოდენობა აიყარა და აშშ-სა და სხვა ქვეყნებში გადასახლდა. ანტისემიტურმა მოძრაობამ მძაფრად რეაქციული ხასიათი მიიღო ფაშისტურ გერმანიაში. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.ძ დროს ნაცისტებმა ჩაიდინეს მსოფლიო მასშტაბის უდიდესი, არნახული დანაშაული — 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს.

ნიშანდობლივია, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის (გამოცხადებისძ მეორე დღესვე, 1948 წლის 15 მაისს, არაბულმა სახელმწიფოებმა ომი გამოუცხადეს და შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე. 19 მაისს ისრაელის დროებითმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა მთელს ქვეყანაში. ხაზგასასმელია, რომ ოფიციალურად (იურიდიულადძ ეს მდგომარეობა დღემდე არ გაუქმებულა. ცხადია, ეს ვითარება (და შემდგომში განვითარებული პრობლემებიძ ისრაელის სახელმწიფოს რთულ მდგომარეობაში აქცევს.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ ვითარება შეცვალა — გადაიჭრა ებრაელთა იდენტიფიკაციის პრობლემა. ე.წ. „ებრაული“ საკითხი შევიწროვდა. ებრაელთა არსებობისა და ამა თუ იმ ხალხთან თანაცხოვრების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. დღეს არსებითია ებრაული სახელმწიფოს პრობლემა. საერთოდ, წინა საუკუნეებთან შედარებით ებრაული პრობლემატიკა აქტუალური გახდა. ებრაული საკითხი პირდაპირ არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ზოგადი პრობლემების გადაჭრასთან.

თუ კი ერთ დროს ეს საკითხები თეორიულ ასპექტში განიხილებოდა, ამჟამად დღის წესრიგში მწვავე ცხოვრებისეულ რეალურ პრობლემად იქცა; პრობლემად, რომელიც დროულ გადაწყვეტას ითხოვს. ერთი რამ პირდაპირ უნდა აღინიშნოს. წინა საუკუნეებში არსებული ანტისემიტიზმი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქვეყნის კანონმდებლობებში მკაცრი სანქციებია ანტისემიტიზმის გამოვლინებისათვის. ერთადერთი და მოკრძალებული არეალი ანტისემიტიზმისათვის არაბული ქვეყნებია. აქაც უპირატესად ეს მიმდინარეობა არა ებრაელობის, არამედ ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ანტისემიტიზმი დღეისათვის პრაქტიკულად გამორიცხულია ებრაელთა ყველაზე ფართო განსახლების ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში. ანტისემიტიზმი თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ისეთ ადრინდელ, კლასიკური ანტისემიტიზმის ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. ანტისემიტიზმი საერთოდ ამოვარდა გერმანელთა (გერმანიისძ ლექსიკური ფონდიდან.

მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაულ თემებს ყოველთვის აწუხებდათ ეროვნულ-კულტურული იდენტობის პრობლემა, შიში იმისა, რომ არ დაეკარგათ ეროვნება. დღეს სრულიად ნათელია: ებრაული თემების ცხოვრება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, ისე წარიმართა, რომ ებრაელობამ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ებრაული იდენტურობა. იყო დრო, როცა ცალკეულ, ამა თუ იმ ქვეყანაში ებრაელები ერიდებოდნენ საჯაროდ გამოეცხადებინათ თავისი ეროვნება, დღეს კი ყველგან სიამაყით მოიხსენიებენ თავს ებრაელად. იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი ელი ბარნაკი სამართლიანად აცხადებს: „სიონიზმი დღეს? სხვა არაფერია, თუ არა იდეოლოგიური ნაგვის გროვა“...

ისრაელი მეცნიერები და პოლიტიკოსები ხშირად მსჯელობენ ებრაელთა იდენტიფიკაციის პრობლემაზე. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ იდეოლოგიურად გამოიკვეთა ებრაელთა ცხოვრების შესაძლო განვითარების პერსპექტივა: ასიმილაციონიზმი (ცხოვრება განსახლების ადგილებზე, რასაც თან სდევდა ებრაული იდენტურობის დაკარგვაძ, სიონიზმი და დიასპორაში ეროვნული არსებობა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ისრაელის სახელმწიფოს მიერ კანონის მიღება ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყო ებრაული ეროვნების ოჯახების დაბრუნება (აქაც გარკვეული პრობლემები წარმოჩნდა და სახელმწიფოს კანონში ცვლილებების შეტანა მოუხდაძ. ებრაელთა დიდი ტალღა დაიძრა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, სადაც, თითქმის ყველგან, ებრაული თემი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. თუმცა გარკვეული ნაწილი ებრაელობისა ადგილებზე დარჩა და არსებული თემი არ მოუშლია.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა საქართველოში ებრაელთა პირველი ტალღის გამოჩენასა და დამკვიდრებას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და განადგურებას უკავშირებს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „... ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“. იერუსალიმის დაცემა ჩვენს ერამდე 586 წელს მოხდა და სწორედ ამ დროს „მუნით ოტებულნი ურიანი“ მოდიან ქართლში. ნიშანდობლივია, რომ ემიგრანტებმა მცხეთის მამასახლისს მიმართეს თხოვნით, რათა ნება მიეცა აქ დასახლებისა, თანაც ებრაელებმა სათანადო ხარკის გადახდის პირობა დადეს. მცხეთის მამასახლისმა მეგობრობის ხელი გაუწოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ლტოლვილებს და „მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქვეყანა აქუნდათ მათ ხარკითა...“. აქედან ებრაელები სხვა დაბებსა და ქალაქებში — ხელოსნობისა და საალებმიცემო ცენტრებში გადადიან. ქართლის მოქცევის ქრონიკა ებრაელთა ჩამოსახლებას მცხეთაში ძველი წელთაღრიცხვის 169 წლით ათარიღებს.

ელინისტურ პერიოდში ქართლის ქალაქებში — მცხეთასა და ურბნისში უკვე არსებობდა ე.წ. „უბანი ჰურიათა“, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელები; აქ იყო მათი ეთნიკურ-რელიგიური თემები. აქ ებრაელებს ძველთაგანვე ჰქონდათ თავიანთი საკულტო ცენტრები, ე. წ. „ბაგინი ჰურიათა“. ეს სინაგოგები იყო. როგორც ჩანს, სწორედ „ბაგინი ჰურიათას“ მსახური (ე. ი. იუდაიზმის მიმდევარიძ იყო ქრისტეს სარწმუნოების მიღებამდე წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული მღვდელი აბიათარი. ძველი ებრაული თემების ცხოვრების კვალი შემორჩა ქართლში აღმოჩენილ ძველ ებრაულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც.

როგორც ჩანს, ებრაელობამ საქართველოში ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამასთან, ისინი ბოლომდე დარჩნენ იუდაიზმის ერთგულნი. ებრაელი შრომობდა და იბრძოდა ქართველის გვერდით. ებრაელთათვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა და ამიტომ ისინი ისევე ზრუნავდნენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, როგორც ქართველები. ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველი მოსახლეობის ანალოგიური იყო, მისგან არაფრით განსხვავდებოდა.

ისტორიულად ცნობილია, და ეს არაერთგზის აღუნიშნავს ბევრ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეს, რომ საქართველოში ებრაელებს არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი შევიწროება და დევნა. საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის, უცხო იყო ანტისემიტიზმის რაიმე გამოვლინება.

ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ებრაელი შუა საუკუნეებში ისეთივე ყმა იყო, როგორც ქართველი. ნიშანდობლივია, რომ, დაბალი ფენების (ყმა და სხვა კატეგორიებიძ გარდა, ებრაელები ხელოსნობასა და მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. და მაინც, ქართველ ებრაელთა ძირითადი საქმიანობა აღებ-მიცემობა იყო. ებრაელები მეფეს, ეკლესიასა თუ ფეოდალს (ბატონსძ „თეთრით“ უსწორდებოდნენ (ემსახურებოდნენძ.

IX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ქართველ ებრაელობაში ნათლად ჩანს ყარაიმული მოძრაობის კვალი, რომელსაც „აცხაბ ალ-თიფლისი“ ეწოდებოდა. ეს სექტა, როგორც გადმოგვცემენ, ბაღდადიდან გადმოსახლებულ აბუ იმრანს, შემდეგში ალ-თიფლისად წოდებულს, შეუქმნია. სექტამ XII საუკუნემდე იარსება და თავისი მკაცრი მოთხოვნების (თალმუდის კანონებზე უფრო მკაცრი კანონების შემოღების მცდელობაძ გამო გამქრალა.

როგორც ცნობილია, ებრაელები იყოფოდნენ აშკენაზებად და სეფარადებად. აშკენაზების ჯგუფს განეკუთვნებიან გერმანელი, პოლონელი და აღმოსავლეთ ევროპაში მოსახლე ებრაელები. ქართველი ებრაელები თავიანთ თავს სეფარადებად თვლიან და ამ მიმდინარეობის რელიგიური წესებისა და ადათ-ჩვევების მიმდევრები არიან.

ქართველი ებრაელობა საუკუ-



◎ ისრაელი – ახალი სახელმწიფო



ნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას. ქართველმა ებრაელებმა ბევრი უნიკალური ძეგლი შემოინახეს. უპირველესად უნდა დავასახელოთ ლაილაშური ბიბლია. პერგამენტზე დაწერილი ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა ლამაზი ორნამენტით, მაღალმხატვრულად შესრულებული თავასოებით. ლაილაშის ბიბლია საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა ებრაელთა შორის, შემდეგ – ლაილაშის სინაგოგაში. მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და არაერთი ლეგენდით ამკობენ ქრისტიანები თუ იუდაისტები. ლაილაშის ბიბლია რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეთათვის, განურჩევლად იმისა, ქართველები იყვნენ თუ ებრაელები, თაყვანისცემის საგანი იყო: ხანგრძლივი გვალვების დროს წვიმას შესთხოვდნენ, ავადმყოფობისას – განკურნებას, ომის დროს – მტერზე გამარჯვებას და სხვ.

საინტერესო ძეგლი გახლდათ ე.წ. ჭიანურაშვილების ფსალმუნი. ეს იყო ძველ ებრაულ ენაზე დაწერილი კომენტარები ხკომენტარების ავტორები დავით იოსების ძე კიმხი ანუ რედაკი (1160-1235 წწ.ძ და იოსებ ბენ-დავით ჰაიევანისი (XI-XII სს.ძ იყვნენჯ. ფსალმუნი ქ. ახალციხიდან ბაქოში გადასახლებული ჭიანურაშვილების საგვარეულო საკუთრება იყო. იგი ახალციხეში თუ ბაქოში კომპაქტურად მოსახლე ქართველ ებრაელებს სასწაულმოქმედ წიგნად მიაჩნდათ.

ებრაელები ძველთაგანვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სახლობდნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ახალციხეში, გორში, ცხინვალში, თელავში, სიღნაღში, ბორჯომში, ქარელში, სურამში, ბრეთში, თამარაშენში, ონში, ჩხარში, ზუგდიდში, სენაკში, საჩხერეში, კულაშში, ლაილაშში... და ბევრ სხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში ძველთაგანვე ნახავდით ებრაელთა უბნებს.

ებრაელთა არსებობა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არ გამორჩენიათ უცხოელ მოგზაურებს. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები აქვს დაცული დიუბუა დე მონპერეს. იგი საქართველოს ზოგიერთი ქალაქის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ცნობებს იძლევა და ყველგან ხაზგასმული აქვს ებრაელი მოსახლეობის რიცხვი. ამასთან, მინიშნებულია, რომ ებრაელები ეწეოდნენ წვრილმან ვაჭრობას, ყიდდნენ ძველმანებს, ფიზიკურად ნაკლებად შრომობდნენ, ნაკლებად მისდევდნენ მიწათმოქმედებას. დიუბუას ცნობით, ებრაელებს ხშირად ნახავდით, როცა ისინი ბიბლიას კითხულობდნენ ან როცა თავიანთ შვილებს ებრაულ ცოდნას აძლევდნენ, თავად კი ქართულად ლაპარაკობდნენ.

შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ყმა ებრაელი, ყმა ქართველთან ერთად, ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა. ფეოდალის (მებატონისძ ულელი ერთნაირად მძიმე იყო ებრაელისთვისაც და ქართველისთვისაც. პრაქტიკულად ბატონი წყვეტდა მათ ბედს – შეეძლო გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითევში გაეტანებინა, დაეწინდა ან გაესხვისებინა. ქართველი ყმა ებრაელები კუთვნილების თვალსაზრისით დაყოფილი იყვნენ სამეფო, საეკლესიო, სათავადაზნაურო კატეგორიებად. ქართველი ყმების მსგავსად, იყვნენ ებრაელი მკვიდრი ყმები, ხიზნები, ბოგანოები, აყრილები, რომლებიც ბატონისათვის მრავალგვარ სამსახურს ეწეოდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ყმა ებრაელებს იტაცებდნენ საქართველოზე თავდამსხმელი მოთარეშე ტომები.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლამ, კერძოდ, კაპიტალიზმის ელემენტების შემოჭრამ საქართველოში, ერთგვარი კორექტივი შეიტანა ქართველ ებრაელთა განსახლებაში. დაიწყო პროცესი დაბასოფლებიდან ქალაქებში გადასახლებისა.

XIX საუკუნემდე თბილისში ებრაელთა რიცხვი ძალზე უმნიშვნელოა. ვაჭრობას ძირითადად სომხები ეწევიან. ეს უცხოელი მოგზაურების მონაცემებითაც დასტურდება. ებრაული მოსახლეობა თბილისში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი პრაქტიკულად უკვე დიდი სავაჭრო ცენტრია. აქ მრეწველობაც მნიშვნელოვნადაა განვითარებული. XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისში 30000-მდე მცხოვრებს ითვლიან. აქ იყო 1150-მდე დუქანი, 60 სავაჭრო საწყობი, 5 ტრაქტირი, 6 სამღებრო საწარმო, რამდენიმე კერამიკული და ტყავის საამქრო (დაბახანაძ. რამდენიმე წელიწადში ეს საწარმოები კიდევ უფრო გამრავლდა, განსაკუთრებით გაიზარდა სასურსათო და საკონდიტრო დაწესებულებებისა და სასტუმროების რიცხვი. 1835 წელს, რუსი ჩინოვნიკების ცნობით, თბილისში 60-მდე ებრაელი ცხოვრობს (აქედან 50 მამაკაციძ. შემდგომში ეს რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ებრაული მოსახლეობა საქართველოს დედაქალაქში თავის უბანს აფუძნებს, აარსებს სინაგოგას და ებმება ქალაქური ცხოვრების ჩვეულ რიტმში.

**ჩვენამდე შემორჩენილი ე.წ. ბრეთის, ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლიის (დაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წ. სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ) რამდენიმე რვეული წარმოადგენს ებრაულ პალიმფსესტს. ეს ძეგლი საუკუნეთა მანძილზე ავალიშვილების საკუთრება იყო, გამოიყენებოდა ებრაელთა დასაფიცებლად, ე.ი. როცა ჭეშმარიტი იუდაისტი ებრაელი ბიბლიაზე (ამ შემთხვევაში ბრეთის ბიბლიაზე) დაიფიცებდა, იგი სრულ სიმართლეს ამბობდა, ან დადებულ პირობას უეჭველად შეასრულებდა.**

**რონ მეტრეველი,**
**საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე**

(დასასრული მორიგ ნომერში)

◎ დაბრუნება

# ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი...

**ხელისუფლების გადაწყვეტილებით გუშინ, 6 მაისს, საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ყაისარის ძე ბენდელიანის ნეშტი უკრაინიდან ქ.თბილისში ჩამოასვენეს, დღეს ქაშვეთის ეკლესიაში გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი, ხოლო 8 მაისს, დღის 3 საათზე გმირს სამხედრო პატივით დაკრძალავენ საბურთალოს სასაფლაოზე.**

იმ ქართველ მეომრებს შორის, ვინც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა და თავისი მხედრული თავგანწირვა საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავის დიდებით შემოსა, იყო დაბა ჩოხატაურის მკვიდრი, მფრინავი, ჭიჭიკო ყაისარის ძე ბენდელიანი. გმირის ეს ოქროს ვარსკვლავი „შენ გენაცვალე ჭიჭიკოს" მიერ მძაფრ საჰაერო ბრძოლებში გამოიჭედა. კიევი, სტალინგრადი, კურსკი, ისევ კიევი, კოველი...

მაიორ ჭ. ბენდელიანს, რომელიც 1944 წლის 20 ივლისს მტრის გამანადგურებლებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, ჰქონდა 410 საბრძოლო გაფრენა, პირადად და თანამებრძოლებთან ერთად ჩამოაგდო მტრის 20 თვითმფრინავი. ქართველი მფრინავის გმირობა და სიმამაცე განსაკუთრებით სამაგალითოდ იქცა ქართველი ახალგაზრდობისათვის. მასზე შეიქმნა ლექსები და მუსიკალური ნაწარმოებები. განსაკუთრებით პოპულარული გახდა პოეტ ხუტა ბერულავას ლექსზე შექმნილი სიმღერა: „ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი"... ამ სიმღერით იწყება ყოველი წლის აპრილის მეორე კვირა დღეს (კოსმონავტიკის დღეძ ბენდელიანის სახელობის სკოლელთა შეხვედრა დღევანდელი 24-ე საშუალო სკოლის ეზოში, ბაქოს ქუჩაზე...

ჭიჭიკო ბენდელიანის სახელი მიენიჭა აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელიც მან საფრენოსნო სასწავლებელში წასვლამდე დაამთავრა.

ჭ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალური საშუალო სკოლა ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყების წინ, 1940 წელს გაიხსნა. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საავიაციო სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად საქართველოდან ახალგაზრდების მომზადება. (დირექტორები: დ.სუმბარეკოვი, ბ.ბარამიძეძ. სკოლის პირველ კურსანტებს პირდაპირ ფრონტზე მოუწია წასვლამ, ხოლო ნაწილი ექვსთვიან კურსებზე დაეუფლა მფრინავის, შტურმანის სპეციალობებს. მათგან ბევრი ველარ დაბრუნდა. სპეცსკოლამ 1955 წლამდე იარსება. მისი დახურვა განაპირობა ნ. ხრუშჩოვის ანტიქართულმა პოლიტიკამ, როცა მან პიროვნების კულტის სახით ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ი.სტალინს, არამედ, შეიძლება ითქვას, ქართველ ხალხსაც. მისი ბრძანებით ქართველები კავშირის მასშტაბით არსად, განსაკუთრებით კი შეიარაღებულ ძალებში, მნიშვნელოვან ხელმძღვანელ თანამდებობებზე არ უნდა დაეტოვებინათ. ამის გამო სხვებთან ერთად ბენდელიანის სკოლელებიც უცერემონიოდ დაითხოვეს სამსახურიდან.



ამ სპეცსკოლამ 2000-მდე კურსდამთავრებული აღუზარდა ქვეყანას, ის იყო და რჩება საავიაციო სასწავლებლებისთვის ქართველი ახალგაზრდობის მომზადების პიონერად. ბენდელიანელთა მომზადების მაღალ დონეს განაპირობებდა პედაგოგთა რჩეული შემადგენლობა. მათ შორის იყვნენ: ბენიამინ ბარამიძე, ივანე ვეკუა, შალვა ჩუბინიძე, ირაკლი გორდაძე, ლევან სიმონიშვილი, ევგენი ტრაპაიძე, ავლიპი შანიძე და სხვები.

თბილისის სამგზავრო აეროპორტს ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ბენდელიანელები: შოთა კაციტაძე, კუკური კურტანიძე, შოთა დადანაშვილი, ხოლო ქუთაისის აეროპორტს – დიმიტრი აბზიანიძე.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა პირველი კლასის მფრინავს ბორის ჩიმაკაძეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გახდნენ აკაკი აბზიანიძე, ემზარ ჩაჩავა, გენერლის წოდება მიიღეს რობერტ თავაძემ, იური ფოტინოვმა, იური ჩუიკოვმა და სხვებმა.

ბენდელიანელებს შორის საამაყონი არიან საქართველოს საჰაერო თავდაცვის შტაბის ყოფილი უფროსი რობერტ ებრალიძე, თავდაცვის სამინისტროს შინაგანი ჯარის ავიაესკადრილიის ყოფილი უფროსი დარვინ რუხაძე, მისი მოადგილეები, დამსახურებული მფრინავები ომარ გელაშვილი, ზაურ ლომიძე, ბუდუ ბარამიძე, პირველი კლასის მფრინავები კუკური წვერავა, მიხეილ გოჩალეიშვილი, ნიკოლოზ მგალობლიშვილი, გია გარსევანიშვილი, გურამ ორბელიანი, ვლადიმერ დევჩენკო, გალაქტიონ ცირეკიძე და სხვები. ჭიჭიკო ბენდელიანი 64 წლის შემდეგ ბრუნდება საქართველოში. მას ხვდებიან საფიცარი შვილი, „ომის წინა დღეს" დაბადებული ჯულიეტა ბენდელიანი. შვილიშვილები, ძმების მაქსიმეს და შოთას შვილები, შვილთაშვილები, ისინი სწავლობენ, შრომობენ, აგრძელებენ ბენდელიანთა უფროსი თაობების ცხოვრების საუკეთესო ტრადიციებს...

64 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში. ყველაზე მთავარი, რაც ჭიჭიკოს, მის გმირულ სულს კიდევ უფრო გაახარებს, ის არის, რომ მისი სამშობლო ქვეყანა ცოცხლობს და დღეგრძელობს, მისი მშობელი ხალხი მძიმე, დაძაბულ ვითარებაში აშენებს ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს. საქართველო ქმნის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან ქვეყნის მშვიდობა და უსაფრთხოება.

მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანის უკვდავი სული ზეციური საქართველოდან დალოცავს და წარმატებებს უსურვებს ჩვენს მომავალს, ჩვენს ხალხს, სრულიად საქართველოს.

**ხვთისავარ არჩემაშვილი,**
**საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალური საშუალო სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებული**

ბენდელიანის სახელობის სკოლის პედაგოგთა ერთი ჯგუფი.
მარცხნიდან მესამე – სასწავლო ნაწილის უფროსი ივანე ვეკუა.



⦿ სახელოვანი გზა

# მეცნიერი, რომელიც ღმერთმა დააჯილდოვა გამორჩეული პიროვნული თვისებებით...

## აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე 75 წლისაა



ფართო დიაპაზონის მქონე ეს მეცნიერი, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართულ მეცნიერებას, ქართული გეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია.

ერეკლე გამყრელიძემ დიდი წვლილი შეიტანა გეოლგოიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების და, პირველ რიგში, მისი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი დარგის – ტექტონიკის განვითარებაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს. ეს არის რეგიონული გეოლოგია და გეოტექტონიკა, სტრუქტურული ანალიზი, პლანეტარული ნაპრალოვნება, ტექტონიკური სტრუქტურების წარმოშობის მექანიზმი, მთათა სისტემების გეოდინამიკური ევოლუცია და სეისმოტექტონიკა, დედამიწის ქერქის და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევება და ტექტოგენეზისის ზოგადი პრობლემები. სამეცნიერო კვლევით მუშაობას ის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეუდგა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან მეცნიერული მოღვაწეობა ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის ხელმძღვანელობით, ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე (1957-1958), ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის დროს (1958-1961) გააგრძელა. 1963 წლიდან, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ის დეტალურად იკვლევს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემისა და საქართველოს ბელტის შეხების ზოლის ტექტონიკას, რის შედეგადაც ამ რეგიონის გეოლოგიურ ისტორიას სრულიად ახლებურად აშუქებს.

1967-1968 წლებში ერეკლე გამყრელიძე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტაჟირებაზე იმყოფებოდა, სადაც მიწვეული იყო ცნობილი გერმანელი მეცნიერის ფონ-გერტნერის მიერ. ამ ხნის განმავლობაში იგი მუშაობდა ჰანოვერის, კლაუსტალ-ცელერფელდის და მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის აზუსტებს და სრულყოფს ე.წ. დეტალური სტრუქტურული ანალიზის მეთოდებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ კავკასიაში და სხვა მთათა სისტემებში პლანეტარული ნაპრალოვნების აღმოჩენას და მისი გლობალური ხასიათის დადგენას, რამაც თავის მხრივ კარდინალურად შეცვალა დედამიწის ქერქში ტექტონიკურ ძაბვათა ველების გამოვლენის არსებული მეთოდები. აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები გახდა საფუძველი 1976 წელს ერეკლე გამყრელიძის არჩევისა კალიფორნიის უნივერსიტეტთან (ლონგ ბიჩი) არსებული პლანეტოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად და პლანეტარული დინამიკის კომისიის თავმჯდომარედ. 1968-1973 წლებში იგი დეტალურ გამოკვლევებს აჭარა-თრიალეთის ზონის ფარგლებში მისი სტრუქტურის წარმოშობის მექანიზმის გამოსავლენად ატარებდა. ამავე პერიოდში იგი იწყებს კავკასიის და ხმელთაშუა ზღვის მოძრავი სარტყლის მოსაზღვრე რეგიონების გეოდინამიკური ევოლუციის პრობლემის შესწავლას და ერთ-ერთი პირველი, კავკასიის გეოლოგთა შორის, ამ ევოლუციას ახალი გეოლოგიური თეორიის – ფილების ტექტონიკის პოზიციიდან იხილავს. აღნიშნული გამოკვლევები საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას და მონოგრაფიას „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა“, რომელიც 1976 წელს გამოიცა.

ერეკლე გამყრელიძე თავის მამასთან, გამოჩენილ მეცნიერ აკადემიკოს პ. გამყრელიძესთან ერთად, 70-იანი წლების დასაწყისიდან იწყებს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის აღმოსავლეთი ნაწილის ტექტონიკური სტრუქტურის კვლევას და პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციებისა და სტრუქტურული მონაცემების საფუძველზე ამ რეგიონის შარიაჟულ აგებულებას და შარიაჟების (დედამიწის ქერქის დიდ მანძილზე ჰორიზონტალური გადაადგილებების) გენეზისსა და წარმოშობის მექანიზმს ასაბუთებს.

ამ გამოკვლევების შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 1976 წელს ერეკლე გამყრელიძე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელად აირჩიეს. ამ დროიდან მოყოლებული, იგი თითქმის 16 წელიწადი ხელმძღვანელობდა ამ ჯგუფის საორგანიზაციო თათბირებს, სამეცნიერო სესიებსა და საველე კვლევას ალპების, შიგა და გარე კარპატების, ბალკანიდების და კავკასიის ფარგლებში. 1979 და 1990 წლებში მისი ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ერეკლე გამყრელიძის მიერ, დავით შენგელიასთან ერთად, კავკასიის ალპურისწინა კრისტალური ფუნდამენტის მრავალმხრივი შესწავლა, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შეიცვალა არსებული წარმოდგენები ამ ფუნდამენტის სტრუქტურისა და მისი ამგები ქანების ასაკის, ურთიერთდამოკიდებულებისა და წარმოშობის გეოდინამიკური პირობების შესახებ. ამ საკითხებს და ზოგიერთ სხვა თანამედროვე თეორიული გეოლოგიის პრობლემებს ეხება ე. გამყრელიძის და დ. შენგელიას მონოგრაფია „კამბრიულისწინა და პალეოზოური რეგიონული მეტამორფიზმი, გრანიტოიდული მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“, რომელიც 2005 წელს მოსკოვში გამოიცა და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ვ. ხაინის აზრით „ამ წიგნის გამოსვლა უდავოდ არის დიდი მოვლენა კავკასიის გეოლოგიური შესწავლის ისტორიაში“.

1983 წელს ერეკლე გამყრელიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – აკადემიკოსად და აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. ამავე დროს, იგი 1975 წლიდან დღემდე არის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ტექტონიკისა და რეგიონული გეოლოგიის განყოფილების გამგე და, ამჟამად, ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1969 წლიდან, თითქმის 30 წლის განმავლობაში, ე. გამყრელიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მისი არაერთი მოწაფე დღეს ცნობილი მეცნიერია. მრავალი წლის განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციების კურსს და გამოდიოდა სამეცნიერო მოხსენებებით მიუნხენის, ვენის, პარიზის, კემბრიჯის, ედინბურგის, რომის, ვარშავის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. მისი შრომები, რომელთა რაოდენობა 200-ს აღემატება (მათ შორის, 10 მონოგრაფიაა), გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებსა და გამომცემლობებში. იგი არის არა ერთი უცხოური (NATO, INTAS, ISTS) და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტის მფლობელი. მისი, როგორც მეცნიერისა და ინტელექტუალის ავტორიტეტს უთუოდ ამაღლებს რამდენიმე უცხო ენის თავისუფლად ფლობა.

ერეკლე გამყრელიძის მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან. მის მიერ შედგენილია საქართველოს მრავალი რეგიონის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკები. იგი არის ევროპის საერთაშორისო (1:5 000 000) და კავკასიის ტექტონიკური (1:1 000 000) რუკების, საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების რუკების (1:1 000 000 ) თანაავტორი და 1:500 000 მასშტაბის საქართველოს ახალი გეოლოგიური და ტექტონიკური რუკების ელექტრონული ვერსიების ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი. მის მიერ შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ძებნის მეცნიერული საფუძვლები და, თანაავტორებთან ერთად, შესწავლილია საქართველოს მინერალური წყლების მრავალი საბადოს და მადნიანი ველის გეოლოგიური აგებულება და ფორმირების პირობები.

1996 წლიდან ერეკლე გამყრელიძე საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი და საქართველოს გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეა. ამავე დროს, იგი არის საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის, საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის, რუსეთის უწყებათაშორისი ტექტონიკური კომიტეტის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის და არაერთი სხვა საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემიის“ წევრი. ერეკლე გამყრელიძე დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და არის ა. ჯანელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ბატონი ერეკლე ღმერთმა დააჯილდოვა გამორჩეული პიროვნული თვისებებით: კაცთმოყვარეობით, თავმდაბლობით, მაღალი ინტელექტითა და სამშობლოს დიდი სიყვარულით, რომლის მთა-ბარი მას ფეხით აქვს შემოვლილი. იგი არის შესანიშნავი მეოჯახე და მეგობარი.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს დიდი ხნის სიცოცხლე და ასეთივე ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მირიან თოფჩიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა საერთაშორისო დონემდე აჰყავთ

**თბილისმა გააჩაღა დიპლომატიური შეტევა მოსკოვსა და სოხუმზე. საქართველო კვლავ აცხადებს, რომ აფხაზეთის თავზე ჩამოგდებული სამხედრო თვითმფრინავები არ ეკუთვნის ქვეყნის სამხედრო საჰაერო ძალებს. მან მოსთხოვა გაეროს, გაარკვიოს, თუ რა საფუძველია იმისათვის, რომ „აფხაზი სეპარატისტები“ უსაფრთხოების ზონაში იყენებენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს.**

ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველო გამოდის 1995 წლის ხელშეკრულებიდან, რომელიც შეეხება რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში. მოსკოვში ამასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ საქართველოს დემარში არ აისახება რუსეთის ინტერესებზე, სოხუმში კი აცხადებენ, რომ ამიერიდან ჩამოაგდებენ ყველა საფრენ აპარატს, რომელიც შემოფრინდება საქართველოს მხრიდან.

გუშინ აფხაზეთის ხელისუფლებამ პრესას უჩვენა იმის ნივთიერი დადასტურება, რომ საქართველო ეწევა შეტევით სამხედრო დაზვერვას ულიარებელი რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროში მოიწვიეს ჟურნალისტები, რომლებსაც უჩვენეს ერთ-ერთი უპილოტო მზვერავი თვითმფრინავის ფრაგმენტები, რომლებიც გასულ კვირას ჩამოაგდეს აქაურმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებმა. „ამჟამად მიმდინარეობს აღმოჩენილი ნამსხვრევების იდენტიფიკაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩამოგდებული უპილოტო საფრენი აპარატი იმავე კლასისაა, როგორიც იყო ადრე აფხაზეთის თავზე ჩამოგდებული საფრენი აპარატი“, — განმარტა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაკან ნანბამ. ამასთან მან განაცხადა, რომ მეორე უპილოტო თვითმფრინავის ნამსხვრევები ჩამოცვივდა მთაში და საძიებო ჯგუფის მუშაობას ართულებს წვიმიანი ამინდი და ნისლი.

აფხაზეთის თავდაცვის უწყების მეთაურის მეორე მოადგილემ გარი კუპალბამ, რომელიც ესწრებოდა ნამსხვრევების დემონსტრაციას, განაცხადა, რომ ორივე უპილოტო თვითმფრინავმა შეაღწია საჰაერო სივრცეში საქართველოს ტერიტორიიდან. „ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მათ, როდესაც ისინი საქართველო საჰაერო სივრცეში იმყოფებოდნენ, შემდეგ კი შემოიჭრნენ ჩვენს საჰაერო სივრცეში. და როდესაც ისინი შემოფრინდნენ გალის რაიონში, ჩამოვაგდეთ რაკეტებით „დედამიწა-ჰაერი“, — განაცხადა ბატონმა კუპალბამ. მან პირობა მისცა დამსწრეებს, რომ მოიწვევს დიდ პრესკონფერენციას, როდესაც აღმოჩენილი იქნება მეორე მზვერავი თვითმფრინავის ფრაგმენტები.

ამ დროს ქართული მხარე მთელი დღის განმავლობაში უარყოფდა ჩამოგდებული უპილოტო თვითმფრინავების საქართველოს საკუთრებაში არსებობას. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ „დეზინფორმაცია“ უწოდა. საქართველოს სამხედრო უწყების განცხადების თანახმად, არც რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას, არც თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას არც ერთი უპილოტო თვითმფრინავი არ ჩამოუგდია. „რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აფხაზი ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია — ეს კიდევ ერთი კარგად დაგეგმილი პროვოკაციაა, რომლის მიზანია სიტუაციის ესკალაცია, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში. თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა განახორციელოს კონტრშეტევა ამბოხებულ რეგიონზე დიპლომატიური არხებით. კერძოდ, საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ მოითხოვა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლისაგან საქართველოში ჟან არნოსაგან გამოიკვლიოს უსაფრთხოების ზონაში „აფხაზი სეპარატისტების ჰაერსაწინააღმდეგ თავდაცვის საშუალებათა გამოყენება“. ამასთან ერთად, თბილისი დაჟინებით მოითხოვს, რომ შემოწმების შედეგები გაეცნოს საერთაშორისო თანამეგობრობას.

ქართველმა დიპლომატებმა შეუტიეს მოსკოვსაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს რუსეთის ფედერაციის საელჩოს მრჩეველი ანდრეი სმაგა, რომელსაც გადასცეს ნოტა იმის შესახებ, რომ საქართველო გამოდის დსთ-ს ქვეყნებს შორის 1995 წელს მიღებულ ხელშეკრულებიდან, რომელიც შეეხება თანამშრომლობას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში. ამ დოკუმენტს ხელი მოეწერა 1995 წელს ალმა-ატაში დსთ-ს ათი სახელმწიფოს მეთაურების — სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და უკრაინის — ხელმძღვანელების მიერ.

მოსკოვმა კი განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფალთა დემარში მას დიდად არ აღელვებს. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც კურატორობას უწევს საქართველოს მიმართულებას, მოუწოდა, რომ არ მოახდინონ სიტუაციის დრამატიზირება, „ვინაიდან საქართველოს მონაწილეობა თანამეგობრობის პროექტში დიდი ხანია, ფორმალურია“. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა კი მოიყვანეს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ციტატა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამგვარი ნაბიჯებისაგან დაზარალდება პირველ რიგში თავად საქართველო“. „ამ ხელშეკრულებიდან თბილისის გამოსვლა არ შეასუსტებს თანამეგობრობის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაერთიანებულ სისტემას, ვინაიდან საქართველოს მონაწილეობა მასში მხოლოდ ნომინალური იყო. ამ ქვეყანას, ფაქტობრივად, არც ერთხელ არ მიუღია მონაწილეობა ერთობლივ წვრთნებში“.

სამაგიეროდ, აფხაზეთის ხელისუფლება, რომელიც აღფრთოვანებულია უპილოტო თვითმფრინავების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის წარმატებით, ავლენს მხედრულ განწყობილებას. აფხაზეთის არმიის მთავარსარდალმა სერგეი ბაღაფშმა გასცა ბრძანება, გაანადგურონ ნებისმიერი სამიზნე, რომელიც დაარღვევს მისი რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს.




Коммерсантъ

გიორგი დვალი,
ნიკოლაი ფილჩენკო

# მოსკოვი დარწმუნებულია, რომ საქართველო აფხაზეთში შეჭრას ამზადებს

**ახლადარჩეული პრეზიდენტის მედვედევის ინაუგურაციამდე რამდენიმე ხნით ადრე მწვავდება კონფლიქტი საქართველოსაგან გამოყოფილ აფხაზეთის რესპუბლიკაში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია: უახლოეს დღეებში საქართველო გეგმავს გამოყოფილ რესპუბლიკაში სამხედრო შეჭრას. საქართველოს არმიის 1500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მზადაა დაიწყოს შეტევა კოდორის ხეობაში, მიაჩნიათ მოსკოვში.**

1 მაისს რუსეთმა დაიწყო ამ კრიზისულ რეგიონში სამხედრო კონტინგენტის გაზრდა. როგორც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რუსეთი გაზრდის თავის სამხედროთა რაოდენობას ორჯერ. ამ მომენტამდე რეგიონში განთავსებული იყო რუსეთის დაახლოებით 2 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე.

ამასწინანდელი დათბობიდან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა. ამ რამდენიმე ხნის წინათ რუსეთი გეგმავდა გაეუქმებინა თავისი ორწლიანი ემბარგო საქართველოს პროდუქტებზე.

გააფთრებული კონფლიქტი აფხაზეთის გამო დასაწყისს იღებს 1990-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთმა, რომელიც შედიოდა მაშინ ყოფილ საქართველოს სსრ შემადგენლობაში, გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. რუსეთმა მხარი დაუჭირა ამ სწრაფვას მაშინ, როდესაც საქართველო ძალის გამოყენებით შეეცადა აფხაზეთის შენარჩუნებას. 1994 წელს ომის დამთავრების მომენტიდან აფხაზეთში განთავსებულია რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი, რომელმაც მიიღო გაეროს მანდატი და მოქმედებს დსთ-ს ქვეყნების დავალებით.



როგორც საინფორმაციო სააგენტო რია „ნოვოსტი“ იტყობინება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ვაშაძე ურჩევს რუსეთის ძალოვან და სხვა სტრუქტურათა წარმომადგენლებს, დაიწყნარონ ნერვები ვალერიანის წვეთებით, უკეთესი იქნებოდა დალიონ ვალიუმი. თბილისმა გაეროსაგან მოითხოვა, შეამოწმონ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთში ყოფნის კანონზომიერება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ახალ კონფლიქტს უკავშირებს საქართველოს მისწრაფებას, გახდეს ნატოს წევრი. „ეს არის თბილისის უუნარობა, აწარმოებდეს მოლაპარაკებებს“, — განაცხადა ლავროვმა ლონდონში, სადაც იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს ამერკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურთან კონდოლიზა რაისთან აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

ნატოს სამიტზე ბუქარესტში პრეზიდენტის პოსტიდან მიმავალმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მიიღებს ზომებს, რათა გადაიდგას საპასუხო ნაბიჯები, თუკი საქართველო კვლავ შეეცდება გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. ნატოს ქვეყნებისა და მთავრობათა ხელმძღვანელები დაჰპირდნენ საქართველოსა და უკრაინას, რომ დეკემბერში ისინი მიღებენ მაპს ნატოში გაწევრებისათვის. ამის პასუხად რუსეთმა დასახა ღონისძიებანი აფხაზეთთან თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარტის ბოლოს მიმართა აფხაზებს წინადადებით, რომ მიანიჭებდა ფართო ავტონომიას, მათ შორის, შემოღებული იქნებოდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაც. ამჟამად მთელი იმედები დამყარებული იმაზე, რომ შემცირდება დაძაბულობა მედვედევისა და სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ დსთ-ს სამიტზე, რომელიც გათვალისწინებულია ივნისისათვის.

მარკუს ბერნატი,
ვერენა დიტხელდი

DER STANDARD

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სერგეი შამბა:
# რუსეთმა ჩვენ დე ფაქტო გვაღიარა!




**— როგორ აფასებთ მოსკოვის უკანასკნელ ინიციატივებს აფხაზეთთან დაკავშირებით?**

— შემიძლია ვთქვა მხოლოდ ერთი რამ: ეს არის ჩვენს ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის აგების დასაწყისი. სანქციების გაუქმება ხომ გაფორმებული იქნა პრეზიდენტის ბრძანებულებით. რუსეთმა ჩვენ გვაღიარა დე ფაქტო! მოსკოვის ინიციატივები მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენთვის. რასაკვირველია, ჯერჯერობით კონკრეტიკამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ყველაფერი წინაა. როდესაც დაიწყება ვლადიმერ პუტინის ბრძანებულების რეალიზაცია, ჩვენ მივიღებთ ჩვენს ქვეყნებს შორის სრულფასოვან ეკონომიკურ თანამშრომლობას. ავიღოთ 2014 წლის ოლიმპიადა, ამ მასშტაბურ პროექტში პატარა აფხაზეთს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა.

**— მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებით, ოლიმპიური ობიექტების 200 კილომეტრის რადიუსში არ უნდა მიმდინარეობდეს სამხედრო მოქმედებანი. საქართველოსთან საზღვარზე კი სიმშვიდე არ არის.**

— სწორედ ესაა საქმე! აფხაზეთი თავისი დამოუკიდებელი არსებობის დროიდან აჩვენებს სიმტკიცესა და სიცოცხლისუნარიანობას. აფხაზეთის ხალხმა იარაღით ხელში დაიცვა თავისი უფლება თვითგამოცხადებაზე. ბლოკადისა და მუდმივი პოლიტიკური ზეგავლენის პირობებში აფხაზეთი აჩვენებს, რომ იგი ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, დემოკრატიული პრინციპებით, განვითარებადი ეკონომიკით, პიროვნების უფლებათა პატივისცემითა და გარემოზუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით. საჭიროა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც სრულად უპასუხებდა ორივე მხარის ინტერესებს, არ გამოიწვევდა ამავე დროს მოსკოვის წამყვანი საერთაშორისო პარტნიორების საგანგებო გაღიზიანებას. ჩვენ ვთავაზობთ ვრცელ სამხედრო თანამშრომლობას რუსეთთან. ის 200 კილომეტრი — ეს არის მანძილი მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურამდე, ესაა მთელი აფხაზეთი. ჩვენ თანახმა ვართ, რომ რუსეთმა ეს ტერიტორია აიყვანოს თავისი კონტროლის ქვეშ. მაგრამ, სამაგიეროდ, მოვითხოვთ ჩვენი უსაფრთხოების გარანტიას. საქართველო ამჟამად ყურადღებით ადევნებს თვალყურს ტიბეტის დამოუკიდებლობის მომხრეთა გამოცდილებას, რომლებიც ცდილობენ პეკინის ოლიმპიადის ჩაშლას. ჩვენი მონაცემებით მიღებული იქნება ზომები იმისათვის, რომ ჩაიშალოს სოჭის თამაშები საგარეო შანტაჟის გზით. მე მოვისმინე აზრი იმის შესახებ, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე რუსეთს სჭირდება უბრალოდ საქართველოსათვის აფხაზეთის გადაცემა. მაშინ სამხედრო კონფლიქტები არ იქნებოდა. მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ? რას ჰქვია, გადასცეს? ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელ აფხაზამდე. არის კიდევ ერთი აზრი: უნდა გაიყინოს პრობლემის გადაჭრა ოლიმპიადის დამთავრებამდე. ეს არ არის გამოსავალი. ომი მაინც არ იქნება მთლიანად დამთავრებული. ოლიმპიადა ცხვირწინაა — მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. და რაც უფრო ადრე აღიარებს რუსეთი აფხაზეთს დე იურე, მით მალე დამყარდება აქ მშვიდობა.

**— თქვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტი — რუსეთის მოქალაქეა. როდესაც აფხაზეთი მიიღებს დამოუკიდებლობას, შევა იგი რუსეთის შემადგენლობაში?**

— ჯერ ამის აუცილებლობა არ არის. რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობებში სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტაივანის თანამშრომლობის მოდელი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებებსაც. პრეზიდენტი ბუში აცხადებდა, რომ ტაივანში ჩინეთის შეჭრის შემთხვევაში მას საქმე ექნებოდა ამერიკის არმიასთან...

**— სერგეი მირონოვიჩ! ომი იქნება?**

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სიტუაცია მუდმივად მწვავდება. საქართველო ანგრევს ყოველგვარ მექანიზმს მოლაპარაკებისათვის. ისინი ამბობენ, რომ უნდა გავიყვანოთ სამშვიდობოები, თავად კი არღვევენ დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა გადაწყვეტილებას. აი, მზვერავი თვითმფრინავები, ჩვენ მათ ვანადგურებთ, სააკაშვილი კი ამბობს: „დავფრინავდით და კვლავაც ვიფრენთ!“ ქართველებმა უსაფრთხოების ზონაში გახსნეს „პატრიოტული ბანაკი“. ეს კი არაფერი ბანაკი არ არის. ეს არის სამხედრო ბაზა. ყოველ მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამ დღესასწაულს აღნიშნავენ სოხუმში. აქამდე ეს არ მომხდარა. იმედი მაქვს, არ მოხდება არც ამ წელს.

Известия
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# საგანგაშო სიტუაცია საქართველოში

**არ არის იოლი სათანადო ყურადღება დაუთმო ომს, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, და საქმე ხდება რეგიონებში, რომელთა დასახელებაც ჩვენ სწორად არც კი შეგვიძლია.**

მიუხედავად ამისა, რუსეთი და საქართველო აღმოჩნდნენ ომის სახიფათო სიახლოვეს საქართველოს სეპარატისტული რესპუბლიკის — აფხაზეთის გამო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე ნაყოფიერ ზოლში, სადაც თბილისი ოცნებობს ააგოს ფეშენებელური სასტუმროები ტურისტებისათვის. მაგრამ, ეს არ მოხდება, თუკი გადამწყვეტი ხმა ამ სიტუაციაში მიეკუთვნება რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს — იგი კი, ვაი რომ, ამ უფლებას ფლობს. საქართველოს უჭირავს აქტიური პროდასავლური პოზიცია და მიაჩნია (შეიძლება, სამართლიანადაცძ, რომ პუტინს სურს მისი დამორჩილება ნატოში შესვლის მცდელობის გამო. ყველაფერი, რაც რუსეთის პრეზიდენტს სჭირდება — ეს არის მისცეს გერმანიას, ვისზეც დამოკიდებულია ნატოს შემდგომი გაფართოება, საბაბი იმისათვის, რომ კვლავაც გამოვიდეს საქართველოს ალიანსის შემადგენლობაში მიღების წინააღმდეგ. და, როდესაც იგი ახდენს აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს საომარი მოქმედების პროვოცირებას, წარმატებით აღწევს ამ თავის მიზანს.

როგორიც არ უნდა იყოს პუტინის მოტივები, მისი პროვოკაციული მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს სხვანაირად, თუ არა, როგორც აღმაშფოთებელი. გასულ თვეში, ამტკიცებს თბილისი, რუსეთის მიგ-29-მ ჩამოაგდო აფხაზეთის საჰაერო სივრცეში საქართველოს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი. იმდენად, რამდენადაც ოფიციალურად აფხაზეთი ითვლება საქართველოს ნაწილად, ამას უნდა



მიეცეს რუსეთის მხრიდან აგრესიული აქტის კვალიფიკაცია. მოსკოვი უარყოფს თავის მონაწილეობას ინციდენტში, ამტკიცებს იმასაც, რომ უპილოტო თვითმფრინავი შეიძლება ჩამოეგდო მიგ-ს, რომელიც იმყოფება ნატოს ერთ-ერთი ქვეყნის შეიარაღებაში. ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი იძლევა პირობას: თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება, იგი თავის ჰალსტუხს შეჭამს.

შემდეგ, უკვე გასულ კვირას, პუტინმა რუსეთის „სამშვიდობოების“ „პარადი“ მოაწყო აფხაზეთის ქალაქ სოხუმის ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორებზე. რუსეთს უფლება აქვს, აფხაზეთში ჰყავდეს 3 ათასი სამშვიდობო, რათა დაიცვას 1994 წელს საქართველოსა და ამ ბობოქარ რეგიონს შორის დადებული ხელშეკრულება. მაგრამ გასულ კვირას მოსკოვმა თავისი კონტინგენტი გაზარდა, არ გააფრთხილა ამის შესახებ თბილისი, რაც სამშვიდობო მანდატის დარღვევაა.

საქართველო აგრეთვე მიმართავს „აკრძალულ ხერხებს“. იგი იძლევა დაპირებას, რომ დაბლოკავს რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში: ამ საერთაშორისო ექსკლუზიური კლუბის თითოეულ ქვეყანას აქვს ვეტოს უფლება. ამან გამოიწვია მოსკოვის სამართლიანი გაოცება. ამერიკის შეერთებული შტატები, უეჭველია, არ არის დაინტერესებული იმით, რომ რუსეთი დარჩეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ. ამას გარდა, თუ მოსკოვი მიიღებს უარს, ეს იქნება ისეთივე ნაბიჯი, თუკი მიიღებს ირანის წინადადებას შექმნან საკუთარი ანტიდასავლური სავაჭრო ბლოკი.

საქართველო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. მაგრამ თუკი მას იმედი აქვს, რომ ოდესმე შეუერთდება ნატოს, უკეთესად უნდა წარმოაჩინოს თავი, ვიდრე პუტინმა. აფხაზეთის მიმართ თბილისის უხეში ტაქტიკა უბიძგებს სეპარატისტულ მოძრაობას ამ რესპუბლიკაში, ხოლო ამას წინათ საქართველოში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები, ფაქტობრივად, იყო ფარსი. ვაშინგტონმა არ უნდა შეანელოს ზემოქმედება თავის მოკავშირე საქართველოზე. უნდა მოსთხოვოს მას „სუფთა“ საპარლამენტო არჩევნები (არჩევნები ამ თვეში უნდა გაიმართოსძ, აფხაზეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება და უარის თქმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებით. საპასუხოდ პუტინმაც უნდა აჩვენოს, რომ იგი პატივს სცემს თავის მეზობლებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში — იმისგან დამოუკიდებლად, შეუერთდებიან თუ არა ისინი ნატოს.



Los Angeles Times

◉ კალათბურთი

# შოუს კანონებით

**134:118 — ასეთი გახლავთ სპორტის სასახლეში გამართული „ყველა ვარსკვლავთა“ ტრადიციული მატჩის შედეგი.** დაგვეთანხმებით, რომ ეს ციფრებიც კარგად მეტყველებს სანახაობის სალაღობო ხასიათზე. მართლაც, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა ზაზა მაჩალაძემ, დავით ბერეკაშვილმა და მაკა კუპატაძემ კარგად აუღეს ალღო მეტოქეთა ურთიერთგანწყობას და სასტვენში ჩაბერვა მხოლოდ შესვენების შემდეგ დაიწყეს. რაც შეეხება გამარჯვებას, იგი დავით ულტიაშვილის შეგირდებმა („ენერჯი ინვესტი“, „ვითა“, „დინამო“ძ მოიპოვეს, ნუგზარ ჭეიშვილის განკარგულებაში კი „ავიამშენის“, თსუ-ს და „მაკაბის“ წარმომადგენლები იყვნენ.

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია სამ ნომინაციაში მოწყობილმა კონკურსებმა. გთავაზობთ ლაურეატთა ნუსხას: **სამქულიანი ტყორცნები:** დავით ბერიშვილი (თსუძ; **წინაღობების დაძლევა:** დავით არწივიძე (თსუძ; **ბურთის კალათში ჩატენვა:** ვიქტორ სანიკიძე („დინამო“ძ. ეს უკანასკნელი დასახელდა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედაც — 41 ქულა.









**სურათებზე: მატჩის ფრაგმენტი; „სახალხო ბანკის“ მმართველი გიორგი გოგუაძე და დავით ბერიშვილი; დავით არწივიძის გარღვევა; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზესიკ ლიპარტელიანი და ვიქტორ სანიკიძე.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◉ დაფასება

# სავსე ქართული პატიოსნებით

**ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლემ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ასპარეზობის მიწურულს სამბოს ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა სერგეი ელისეევმა და მსოფლიო მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ ვასილი პერჩიკმა მე-20 საუკუნის საქართველოს საუკეთესო არბიტრი (სამბოშიძ, მსოფლიო მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ამაგდარი მწვრთნელი შოთა ზუკაკიშვილი პატიოსანი არბიტრობისა და სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის „ოქროს სასტვენით“ დააჯილდოვეს.**

გიორგი ხოსიტაშვილმა გაუკაფა გზა დიდი სპორტისკენ. მფარველად ქრისტეფორე ნინიაშვილი მოევლინა. ახლა კი თავად არის ნორჩების გზამკვლევი. მისი შეგირდები იყვნენ ცნობილი ფალავნები შენგელი ფიცხელაური, რამაზ ხარშილაძე, გივი ონაშვილი, თამაზ გეგეშიძე, ამირან მუზაევი, ილო ქვლივიძე, ტარიელ ცინცაძე და სხვები. სულ 104 სპორტის ოსტატი აღუზარდა ქართულ საჭიდაო სკოლას.

— 1959 წელს სპორტსაზოგადოება „სპარტაკში“ მე ჩამოვაყალიბე სამბოს სექცია, — იხსენებს ბატონი შოთა. — პირველ ჯგუფში წყნეთელ და პატარძეულელ ყმაწვილებს მოვუყარე სტუმრებმა კმაყოფილებმა დატოვეს თბილისი.

ძალიან გამახარა წიკლაურისა და პავლიაშვილის ჩემპიონობამ. მართალი გითხრათ, უფრო მეტს მოველოდით ყურაშვილისგან, სვიმონიშვილისგან, ბოდაველისგან, რომლებიც შარშან ევროპის ჩემპიონატის კვარცხლეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. თუმცა, მათ მიერ თბილისში მოპოვებული ვერცხლი და ბრინჯაოც როდია ურიგო. მჯერა, რომ ისინი ოლეგ იაძის, ემილ რაშინსა და სხვა მწვრთნელების ხელმძღვანელობით მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთ მოემზადებიან. საამისოდ ყოველგვარი ხელშეწყობა აქვთ. აქტიურად გვიდგას გვერდში „სახალხო ბანკი“, რომლის თავკაცი გიორგი გოგუაძე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტიცაა. ასევე, ფინანსურად გვეხმარებიან „ქართუ ჯგუფი“, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სხვა ორგანიზაციებიც. ასე რომ, ჩვენი ბიჭების ერთადერთი საზრუნავი მაღალი სინჯის მედლების მოპოვებაა. იმედია, არ გაგვაწბილებენ.



ბედნიერი კაცია შოთა ზუკაკიშვილი. „საფერავით“ განთქმულ სოფელ ხაშმში ცხოვრობს. აქაურ ბიჭებს ქართული ჭიდაობის ილეთებს ასწავლის.

ვაჟიშვილებიც მის გზას გაჰყვნენ: ვასიკო და სოსო კარგა ხანს ჭიდაობდნენ თავისუფალსა და სამბოს. ორივე სპორტის ოსტატია, ვასიკო ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, სოსომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო პირველობა მოიგო.

ბატონ შოთას ამგვარი პატივი მეორედ ხვდა, რვა ათეულ წელს გადაცილებული ექსტრა კლასის არბიტრი, რომელიც ორმოც წელიწადზე მეტია, საქართველოს სამბოს მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობს, პირველად 1972 წელს დააფასეს — რიგაში ევროპის ჩემპიონატზე უშეცდომოდ ჩატარებული შეხვედრებისთვის.

ვინ იფიქრებდა, ობლობაში გაზრდილი ყმაწვილი, ათი წლისა ცხვარს რომ მწყემსავდა ნორიოსა და უდაბნოში, თუ ამგვარ წარმატებას მიაღწევდა. გიორგიწმინდელმა ფალავანმა თავი. სულ დარჩეული ბიჭები იყვნენ. მათგან გივი სულაძემ, თამაზ ყურვალიშვილმა, ომარ მიქელაშვილმა და ოთარ მუზიაურმა რამდენჯერმე საზოგადოების საკავშირო პირველობები მოიგეს, შორს გაითქვეს სახელი.

**— ახლანდელ ფალავნებსა და სპორტის სასახლეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე რას იტყვით?**

— ამგვარი დონის შეჯიბრებას მეორედ ვუმასპინძლეთ. ზოგიერთი უმნიშვნელო ხარვეზის მიუხედავად, შემიძლია ვთქვა, რომ ასპარეზობა კარგად იყო ორგანიზებული —

ბატონ შოთას ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავს. ღმერთმა უმრავლოს ნაგრამი!

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: შოთა ზუკაკიშვილი განუყრელი ოქროს სასტვენით ხალიჩაზე თავის სტიქიაში.**

◉ ორბიტაზე

## შარაპოვა აპროტესტებს

**ამას ბევრი არ მოელოდა — ამერიკაში ბინადადებული რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის (WTAძ წინააღმდეგ.**

მან განაცხადა: „მინდა, იცოდეთ: WTA-მ მაიძულა მე და მსოფლიო კლასის სხვა ჩოგბურთელი ქალებიც მთელი ოთხი საათის განმავლობაში WTA-სთვის რეკლამის მიზნით გადაგვიღონ.

მის ხელმძღვანელობას უნდა, რომ ჩვენ გადაგვიღონ ზედიზედ სამი დღის მანძილზე, კვირიდან სამშაბათამდე, მაინც და მაინც უშუალოდ რომის ტურნირის წინ. თანაც ლოს-ანჯელესიდან 12-საათიანი გადაფრენის შემდეგ“.



პირველი კატეგორიის ტურნირი რომში 12-დან 18 მაისის ჩათვლით უნდა გაიმართოს. მსოფლიო მესამე ჩოგანოსანის თქმით, ყოველი სტარტის წინ მაქსიმალურად განეწყობა ტურნირისთვის, ასეთი რამე (გადაღებაძ კი მას ყურადღებას უფანტავს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფოტოსესიაში მონაწილეობაზე უარისთვის ასოციაციის ხელმძღვანელობამ შარაპოვა 300 000 დოლარით დააჯარიმა, ხოლო თუ მარია კორტზე WTA-ს ემბლემის გარეშე გამოვა, ჯარიმა, შესაძლოა, 700 ათასამდე გაიზარდოს. მას კიდევ შეიძლება დაემატოს ჯარიმა — 125 ათასი დოლარი ბერლინის ტურნირში მონაწილეობაზე უარისთვის. რათა ეს ჯარიმა აიცდინოს, შარაპოვამ ტრავმა უნდა მოიმიზეზოს.

## გაშიშვლება კინოშიც შეიძლება

**მსოფლიო ჩემპიონმა კრივსა და კიკბოქსინგში რუსეთელმა ნატალია რაგოზინამ, ზედმეტსახელად „ურომ“, განაცხადა, რომ აღარ აპირებს პრიალა ჟურნალებისთვის „გულახდილ“ ფოტოგადაღებებში მონაწილეობას, რადგან უნდა კინოში ბედის ცდა (განა გაშიშვლება კინოში აკრძალულია?!ძ.**

„უკვე აღარ ვიღებ, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მწვრთნელმაც ამიკრძალა და საერთოდ, აღარც მაინტერესებს. კინოში გადაღებას ვაპირებ“, — განუცხადა რაგოზინამ ინტერვიუში რადიოსადგურ „მაიაკს“.

კომენტარს უკეთებს რა თავის ერთ-ერთ „ინტიმურ“ ფოტოსურათს, რაგოზინა ამბობს, „აბა, რაა, რაა აქ ისეთი... ზურგი მაქვს ლამაზი?“



კითხვაზე, აპირებს თუ არა მამაკაცებთან ბრძოლას, მოკრივე ქალმა უპასუხა: „გერმანიაში არის სატელევიზიო შოუ, რომელშიც გერმანელი რეგინა ჰალმიხი იბრძვის შოუმენთან ერთ-ერთი ცნობილი პროგრამიდან და კარგადაც დაამუშავა, პატიოსნად მიბეგვა. ის კი 80 კილოგრამამდე იწონიდა. ჰალმიხი უკვე წავიდა კრივიდან, როგორც ყველაზე ტიტულოვანი, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი.

ჩვენი შოუმენებიდან ამას ვინ გააკეთებს?... მამაკაცი მაინც მამაკაცია, ქალი კი ქალია. კაცი თუკი მოინდომებს, ისეთ სთხლიშავს, რომ ყველაფერს დაავიწყებს“.

**ნამდვილი ამბავი**

**ეს ის წლები იყო, საბჭოთა კავშირში, რომ დავეხეტებოდი და ქართველთათვის მანამდე უცნობ თუ ნაკლებად ცნობილ სახელოვან ქართველებს დავეძებდი. მართალია, ზოგიერთი მათგანის სახელი და გვარი ვიწრო სპეციალისტებისათვის ცნობილი იყო, მაგრამ ფართო მკითხველს მათზე ბევრი არაფერი სმენოდა. ასე მოვიძიე, მოვიკვლიე და ქართველ მკითხველს გავაცანი ჩვენი „საზღვარგარეთელი“ ქართველები. ბევრნი არიან ისინი, მაგრამ აქ სულ რამდენიმეს დავასახელებ და ამითაც მიხვდებით, რა კატეგორიის ხალხზე მაქვს ლაპარაკი:**

# ქონდაქარი

**სამსონ ქუთათელაძე:** საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიოს მრავალი აკადემიის წევრი, ნოვოსიბირსკის თბოფიზიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი;

**გიორგი ბერიაშვილი:** საბჭოთა კავშირში ჰიდროთვითმფრინავმშენებლობის ფუძემდებელი, ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი;

**ალექსი შიუკაშვილი:** პირველი ქართველი მფრინავი-მოყვარული, შემდგომში სახელგანთქმული ავიატორი;

— გმირი ქართველი მანდილოსანი **ევგენია მაისურაძე,** რომელიც 1942 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის წინაღამეს, თავის ათი წლის ვაჟიშვილთან ერთად ქალაქ ნალჩიკში აწამეს და დახვრიტეს გერმანელმა ფაშისტებმა;

**ბიძინა ხუბუტია:** საქართველოში ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მსოფლიოში აღიარებული დასტაქარი და მოღვაწე, რომლის სახელი, მისი უდიდესი დამსახურებისათვის, სხვა მრავალ პროფესიულ ჯილდოსთან ერთად, მინიჭებული აქვს თხის რქის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს!

... ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან ჩემი კალმის გმირები, რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, ინჟინრები, ხელოვანები თუ ბიზნესმენები...

მართლა დავეხეტებოდი მთელს დუნიაზე და ქართველებს დავეძებდი! დავეძებდი და ხშირად ვპოულობდი კიდევაც. ზოგჯერ ხელმოცარულიც ვბრუნდებოდი მივლინებიდან. თუმცა ზოგჯერ ისეთ ფაქტებსაც წავაწყდებოდი ხოლმე, ქვემოთ რომ მოგითხრობთ:

... მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში, ჩვეულებრივზე მეტი ხალხი ირეოდა. უმეტესობა ქართველები იყვნენ, მათ შორის ცნობილი ჟურნალისტი და მოსწრებული სიტყვის კაცი მერაბ ბერაძეც და მეც. უკვე მესამე დღე იყო, დიქტორი ყოველ საათში იმეორებდა ერთი და იგივეს — თბილისში „ტუმანია“ და ფრენა გაურკვეველი ვადით არისო გადადებული. ამაზე თავისი ჩვეული იუმორით ენამახვილობდა მერაბი — „თუმან-თუმანი“ შევკრიბოთ და მერე გაგვიხსნიანო ცას!

მოსაცდელ დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ ქართველები. ჩვენს ჯგუფს ერთი მეტად სანდომიანი გოგონა შემოეკედლა. სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი არ ჩამიწერია უბის წიგნაკში, მაგრამ ვიცი, ქალაქ ჩიტადან მოდიოდა, იქ სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე. სწორედ მისგან მოვისმინე პირველად — ქალაქ ხაბაროვსკში, 9 მაისის სკვერში, თურმე, ყოველი წლის 9 მაისს იკრიბებოდნენ ქართველები. შეკრებდნენ შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში მოსწავლე სტუდენტებს და ზრუნავდნენ მათზე, ინტერესდებოდნენ მათი სასწავლო თუ საყოფაცხოვრებო პირობებით და მნიშვნელოვან მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ.

— ვინ იყვნენ ეს ქართველები-მეთქი, ვკითხე გოგონას.

— ისინი, რა თქმა უნდა, გარკვეული სახელითა და გვარით გვეცნობოდნენ, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, არც ერთი არ ამხელდა თავის ნამდვილ სახელსა და გვარს, რადგან ისინი ათეული წლების წინათ, რაღაც დანაშაულისთვის სასჯელმისჯილი და ახლა უკვე განთავისუფლებული ადამიანები იყვნენ, რომლებიც, რატომღაც, სამშობლოში დაბრუნებისგან თავს იკავებდნენ...

... მერე, გაიფანტა „ტუმანი“ თბილისის თავზე და ერთი მეორის მიყოლებით გაფრინდნენ „ტუ“-ები საქართველოს დედაქალაქისკენ. დომოდედოვოს „ხიზანთა“ ლაშქარიც თავის გზას დაადგა, მე კი ხაბაროვსკის „ამბავი“ მიწვალებდა სულს...

... ამიტომ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დავადექი ხაბაროვსკის გზას!

... დავდიოდი ქალაქის ქუჩებში, ვათვალიერებდი ამურის სანაპიროებს, ვიყავი 9 მაისის სახელობის სკვერშიც, მაგრამ ჭაჭანება არ იყო ქართველთა!

ბოლოს! მეორე დღეს მაგადანისკენ ვაპირებდი გაფრენას, რომ სკვერის შესასვლელთან ერთ მელოტ კაცს მოვკარი თვალი. მზეზე უზარმაზარ ნათურას მიუგავდა მოტვლეპილი თავი, ფერ-ხორცით სავსე და ჯანმაგარი! დამჯდარი, ღონიერი ნაბიჯებით მოაბიჯებდა ნელა, ისე ნელა, რომ იფიქრებდი, თანამოსაუბრეს ეძებსო. იმასაც გაუმართლა და მეც! მივესალმე. შემომხედა და პირდაპირ მკითხა:



— ქართველი ხარ?

— დიახ-მეთქი, — ვუპასუხე.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა და... სამი დღე კიდევ დავრჩი ხაბაროვსკში. ვუსმენდი კაცს, რომლის პირველი სიტყვა ზაფრად დააჩნდა ჩემს სულს...

— მე ყოფილი ქონდაქარი ვარ!... ტყუილა ეძებ ქართველებს 9 მაისის სკვერში... მთავრობამ აუკრძალა თავშეყრა, დაშალეს ისინი! ვინ იცის, ზოგი სად წავიდა და ზოგი სად... ერთადერთი მე შემოვრჩი აქაურობას... არსად წამესვლება... ახლა ახალი მეთოდებით ვმუშაობთო, მითხრეს სამსახურში და ორმოცდაათი წლის კაცი „პენსიაზე“ გამიშვეს... თუმცა, ხანდახან კი, მეძახიან „სამსახურში“... იმითი ვჭამ ლუკმას!..

მარცხენა ლოყის მთელ სიგრძეზე, საფეთქლიდან ნიკაპამდე, ღრმა ნაიარევი ეტყობოდა. პაუზის შემდეგ ხელი მოისვა ნაიარევზე, შემპარავი, გამომცდელი თვალებით შემომხედა და თქვა:

— აი, ამან გამაბოროტა, ჩემო ძმაო!..

— სად და ვინ?...

— პატიმრებმა!.. მეც პატიმარი ვიყავი მაშინ... შემეშალა „უსტავი“ და... „ახრანამ“ გადამარჩინა, მერე აქეთ გადმომიყვანეს და „სამსახური“ მომცეს... თავიდან ბოლმას ვიქარვებდი, მერე, თანდათან „ხელობად“ მექცა ქონდაქრობა... აბა, რა მექნა? „შავები“ მომკლავდნენ მაინც... პირველი, თბილისის ციხეში იყო... მეორეც!.. ახლაც დგას ორთაჭალის ციხე?

— კი.

მწარედ ჩაიცინა, თვალები მოწკურა და ამ მოწკურულ თვალებშიც ცრემლები შევამჩნიე.

მერე, ნაკვერჩხალი გადმოყარა იმავე თვალებიდან, სისასტიკემ რომ იცის იმფერი.

— დ ა ა ა!... დასახვრეტები იყვნენ სუყველანი!.. რკინის ხელები უნდა ჰქონდეს ქვეყანას!... — ვიღაცას გაუბრაზდა, სახე აელეწა, აენთო, გადაირია და, როცა დამშვიდდა, ბოდიში მომიხადა.

— მაპატიე, შენ რას გერჩი, მაგრამ სულ მაწუხებს ერთი კითხვა, რისთვის ვიცხოვრე? სხვისთვის რომ მომესპო სიცოცხლე?..

... სხარტად წამოდგა და კარებში გავიდა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და ბილეთი მომიტანა მაგადანის თვითმფრინავზე. კარადიდან ნახევარლიტრიანით სპირტი გამოიღო და ჭიქები შეავსო.

— არ ვიცი, ღმერთი მიიღებს თუ არა ჩემს მუდარას, მაგრამ გზას დაგილოცავ, ჩემო კარგო!... საქართველოში რომ ჩახვალ, წითელი ღვინით მახსენე, თუ ჩათვლი საჭიროდ!..

გადაჰკრა!..

მას შემდეგ, აგერ უკვე ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი წელიწადი გავიდა...

ახლახან „ორთაჭალის ბაღებიდან“ მეოთხე სამშობიაროსკენ მივუყვებოდი სანაპიროს. მეგობარს მეთერთმეტე შვილიშვილი შესძენოდა და „პალატაშივე“ მინდოდა მიმელოცა ძეობა. ორთაჭალის ციხის კედლებთან ხეს მიყრდნობოდა ბერიკაცი. ძველმოდური შარვალპიჯაკი, გახამებული, მაგრამ გახუნებული პერანგი და ჰალსტუხი ემოსა, ფეხზე, ასევე, ძველმოდური „შტიბლეტები“ ეცვა, წითელი, ჯაგარივით თმას კი არც ეტყობოდა სიმეჩხრე.

უსიტყვოდ ჩავუარე.

— გამარჯობა მეგობარო!.. — მომაძახა ანაზდად. შევყოვნდი და მივიხედ-მოვიხედე, შევეშალე, სხვა ვინმეს ესალმებამეთქი, გავიფიქრე.

— ვერ მიცანი, ეტყობა!.. ან რას მიცნობდი, მე მაშინ თავგადახოტრილი დავდიოდი მუდამ... არადა, თმა მუდამ ასეთი მქონდა, აჯაგრული...

— სამწუხაროდ, ვერ გიცანით!.. — გამოვტყდი.

— აი, ახლა მაინც მიცნობ, ალბათ... საოცარია ქვეყანა, სად და როდის არ შეხვდება კაცი კაცს!.. — მარცხენა ლოყა მომიშვირა და...

ნაიარევმა ამიხილა თვალები. მე იგი ვიცანი! ოღონდ, ახლა თმები და ყბებში „ჩამსხდარი“ პროთეზები იყო განსხვავება „ხაბაროვსკელ“ ნაცნობსა და ამ ბერიკაცს შორის...

— კი, მე ვარ!.. ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში ჩამოვედი, ნოემბრის დღეებსაც შევესწარი!.. ახლა აქ მოვედი... გავიგე ციხეს ანგრევენო, და მომინდა უკანასკნელად შემეხედა ამ ჯურღმულისათვის! სწორედ აქ მაქციეს იმად, რაც ვარ... ამ სიბერეშიც ისეთი თვალები მაქვს, ყველაფერს ვამჩნევ და ვგუმანობ!.. ახლა ვდგავარ აქ და ვხედავ „ჩემი ადგილი“ „დაკავებულია“... თურმე, კვლავ ყოფილან ჩემი პროფესიის ხალხი საქართველოში, ოღონდ ფორმაა სხვა! მე ის მაკვირვებს, ვის სჭირდება იგი!.. სჭირდებათ კი?.. არ ვიცი!.. ცოლი მე არ მყავს და შვილი, ჩემი „ხელობის“ კაცს არც მამული აქვს და არც გული, გადავგვარდი უკვე!.. ისევ უნდა წავიდე იქით, თუ გზაში არ დავვარდი ჯაგლაგი ვირივით... ბევრი ვიცოცხლე, ნამეტანი... 90 წელიწადი ვამძიმებდი მიწას და, მეყოფა!

... ვინ იყო ეს კაცი? რა ერქვა მას? როგორ გგონიათ, მეტყოდა თავის ნამდვილ სახელსა და გვარს?... ან რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელით გამეცნო მე ის? ის ხომ ის იყო, თავისი სახელი თვითონაც რომ დავიწყებოდა უკვე! ჰოდა, რაც გნებავთ, ის დაარქვით თქვენ, მე კი, კალამი, მაინც ვერ მომიბრუნდა „ახალი“ ქართულით მომეხსენებინა იგი და ამიტომ, ქონდაქარი დავარქვი, მასაც და გულის ამ სატკივარსაც, რომელიც ესეეს არის წაიკითხეთ!

... „ქონდაქარი“ კი ძველქართულად „ჯალათსა ჰქვიან“ (საბა).

**ზაურ ფიფია**

**ინფორმაცია**

# 8 მაისს ასთმის მსოფლიო დღე აღინიშნება

**საქართველოს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ინფორმაციით, ასთმის მსოფლიო დღე დაწესდა ასთმის მკურნალობისა და მართვის გლობალური ინიციატივით, რომლის მიზანია აამაღლოს ასთმის შესახებ ცოდნა და გააუმჯობესოს დაავადების მართვა.**

2008 წლის ასთმის მსოფლიო დღის თემას წარმოადგენს — „თქვენ შეგიძლიათ გააკონტროლოთ თქვენი ასთმა“.

ბრონქული ასთმა, სასუნთქი სისტემის ქრონიკული ანთებითი დაავადება, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში 300 მლნ ადამიანი არის დაავადებული ბრონქული ასთმით. ასთმიანი პაციენტების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2025 წლისათვის ასთმის მქონე პაციენტების რაოდენობა მსოფლიოში 100 მილიონით გაიზრდება.

ბრონქული ასთმა საქართველოშიც ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში.

2008 წლის ასთმის მსოფლიო დღის ოპტიმისტური თემა — „თქვენ შეგიძლიათ გააკონტროლოთ თქვენი ასთმა“ სამთავრობო და ჯანდაცვის სტრუქტურებს მოუწოდებს, პაციენტებსა და ზოგადად საზოგადოებას ჯანდაცვის ადგილობრივ სტრუქტურებთან თანამშრომლობისკენ ქვეყანაში ასთმის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით.

2008 წლის ასთმის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი



ღონისძიებები 8 მაისს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კონფერენციით გაიხსნება, რომელშიც საქართველოს მასშტაბით 250 ექიმი და სტუმარი მიიღებს მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსი**

**მწარე სინამდვილე**

# „ციც!...“ – ტკარცალებენ გოგონები

**– ციც!... – გაეხუმრება ხანდახან გამვლელ გოგონებს და ატკარცალებული დიაცები ერთმანეთს ასკდებიან... დგას ყავარჯენზე დაყრდნობილი და მკერდზე „აბრა“ ჰკიდია – „ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე“!**

მუდამ გაუპარსავია, მეტწილად დაღვრემილი და სევდიანი.

ხან რუსთაველის მეტროსთან დგას, ხან ოპერასთან და ხანაც რუსთაველზე მოძრაობს თავისი ხეიბარი ფეხებით!

ბევრს ზიზღი გადაუვლის სახეზე, უმეტესობას კი სინანული. ამ ახალგაზრდა კაცს მეტი არაფერი დარჩენია მათხოვრობის გარდა.

დადიან ჩვეულებრივი ადამიანები მის ირგვლივ და ყველას თავისი გასაჭირი აქვს, თავისი საზრუნავი. ისინიც ღარიბნი და უპოვარნი არიან თვითონ. „არაჩვეულებრივებს“კი დავიწყებიათ ქუჩაში ფეხით გავლა. არავის სცალია მისთვის, და თუ მოიცლიან, სახეზე არც შეხედავენ, ისე ჩაუყრიან გამოწვდილ ხელში ორიოდე „კაპიკს“ და პირჯვარს გადაისახავენ.

– ჯვარი არ მშველის მე!... – წაეჩხუბა, ერთხელ, „ქველმოქმედ“ ქალბატონს და ზურგი შეაქცია, – მე ფული მინდა, ხორცი რომ გადავირჩინო!...

... და უკვე კარხა ხანია შეერწყა ეს „აფხაზეთში ნაომარი“ კაცი ქალაქის ცენტრალურ ქუჩას, უსულოდ, ხორცის ამარა!

მასზე არავინ ზრუნავს, არავის აფიქრებს მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ის მარტოდმარტო მიაგორებს წუთისოფელს და სადღაც, კუნძულში შემორჩენილი სულის გასახალისებლად „გაეთამაშება“, ხოლმე, გოგონებს.

გოგონები კი ხან კისკისებენ, ხანაც აღშფოთდებიან და უკმეხად დაუტატანებენ „ვიღაც მათხოვარს“. მათხოვარი კი კვლავ აგრძელებს თავის „ბიოგრაფიას“ და ამ ბიოგრაფიას, ეტყობა, საშველი არა აქვს!“... აბა, რას მივაწერო, – ქვეყანა, სადაც „სიღარიბის გარეშე“ ნათელ მომავალს ვაშენებთ, „ჯიპებითა“ და „ლიმუზინებით“ დავქრივართ, აქვე, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გვერდს ვუქცევთ მოხეტიალე მუსიკოსებს და ვერ ვამჩნევთ მოსიარულე სიღატაკეს, და ასე ვაგებთ ნაციონალურ საქართველოს!

– „ციც!...“ – ტკარცალებენ გოგონები, მაგრამ ეს ტკარცალი ვერ აქარვებს სევდას!...

**ზაალ მეგრელიშვილი**

**ვითარება**

# ინგილო მოცეკვავეები დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ

**საინგილოში მოქმედი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ და აზერბაიჯანული ანსამბლი „თუნურჯითი“ ბათუმის კულტურის სამინისტრომ 5-დან 8 მაისამდე აჭარაში ფესტივალზე მიიწვია. თუმცა, ინგილო მოცეკვავეები გამგზავრებას ვერ ახერხებენ... ანსამბლს კახის რაიონის ხელმძღვანელობამ დაფინანსებაზე უარი უთხრა, რის გამოც მოცეკვავეები დასახმარებლად საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ.**

მოცეკვავეთა 35-კაციანი ჯგუფის ბათუმში ცხოვრების ხარჯებს აჭარის კულტურის სამინისტრო დაფარავს, თუმცა საინგილოდან იქ ჩასვლა საკუთარი ხარჯით უწევთ, რაც ამ ეტაპზე მათ არ გააჩნიათ და როგორც განაცხადეს, შესაძლოა, ამ შეთავაზებაზე უარიც თქვან.

ერთ-ერთი ორგანიზატორი, საინგილოში მცხოვრები აიდა პაპიაშვილი, აცხადებს, რომ დახმარებისთვის კახის ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა, მაგრამ მათგან უარი მიიღო: „კახის გამგებლის მოადგილემ ზიაფეტ ალიევამ უარით გამოგვისტუმრა, მგზავრობის ხარჯებს კახის ადგილობრივი ხელისუფლება ვერ დაფარავსო“. ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები დახმარებას დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს იულონ გაგოშიძეს და საქართველოს კულტურის სამინისტროს სთხოვენ.

**ილია მარტყოფლიშვილი**
**კახეთიდან**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** ვარ პენსიონერი. ვზრდი ორ არასრულწლოვან შვილიშვილს, რომელთაც მშობლები საავტომობილო კატასტროფაში 5 თვის წინათ დაეღუპათ. გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენი ლარი უნდა მეძლეოდეს პენსიის სახით ორი ბავშვის სარჩენად?

**ნინო კუტივაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დედ-მამით ობოლ, 18 წლამდე ასაკის ბავშვის პენსია 55 ლარს შეადგენს.ორი შრომისუუნარო შვილიშვილის სარჩენად, მათი მშობლების დაღუპვის გამო, ყოველთვიურად 110 ლარი უნდა გეძლეოდეთ.

**კითხვა:** მე და ჩემი მეუღლე ავარიაში მოვყევით და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ინვალიდები დავრჩით. მოხუცებულობის პენსიის ასაკი ჯერ არ გვაქვს და კიდევ 7-8 წლის განმავლობაში არ დაგვიდგება, მაგრამ შრომის სტაჟი გვაქვს თითოეულს 25 წელზე მეტი. პენსიაზე დანამატის დარიცხვაზე რაიონის სოციალური სუბსიდიების განყოფილება უარს გვეუბნება. მაინც არ მესმის, რატომ არ უნდა მოგვეცეს დანამატი, თუკი ხანგრძლივი სტაჟი გვაქვს?



**მერაბ ლევერაშვილი**

**პასუხი:** ლოგიკურად სავსებით სწორი ბრძანდებით, მაგრამ, მოქმედი კანონის თანახმად, სტაჟის ხანგრძლივობისათვის პენსიაზე დანამატის დარიცხვა მხოლოდ მოხუცებულობით (ასაკით) დანიშნულ პენსიაზეა გათვალისწინებული.

**კითხვა:** ოჯახში ვართ ორი უსინათლო. გვყავს თვალხილული შვილები. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რამდენი ლარი უნდა იყოს ჩვენთვის დანიშნული პენსიის ოდენობა?

**ოთარ იობაშვილი**

**პასუხი:** მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა პირს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული მისი მძიმე ავადმყოფობა, პენსია, სამწუხაროდ, ენიშნებათ თვეში მხოლოდ 55 ლარის ოდენობით.

**კითხვა:** ვარ I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი. მე-2 წელია, ვიღებ 55 ლარ პენსიას და 22 ლარ ყოველთვიურ დახმარებას. როგორც მეზობელმა მითხრა, ახლა დახმარებები გაზრდილია. მე კი ისევ ძველი ოდენობით მეძლევა, რატომ?

**ლილი ონიანი**

**პასუხი:** ყოველთვიური დახმარება უფრო მეტი ოდენობით იმ უსინათლო ინვალიდებს ეძლევათ, რომლებიც მოხვდნენ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და დააგროვეს შესაბამისი სარეიტინგო ქულა. თუ თქვენი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, 22 ლარი ყოველთვიური დახმარება სწორად გეძლევათ.

**კითხვა:** ვარ 42 წლის. მყავს 7 არასრულწლოვანი შვილი. მეუღლე მუშაობს მცირე ხელფასზე, მე შვილების მოვლა-პატრონობას ძლივს ავუდივარ, გაზეთებით გვეუბნებიან, საქართველო გაამრავლეთ, გადაშენების პირას ვართო, ესეც შედეგი – 35 ლარი მეძლევა 7 არასრულწლოვანი შვილის აღმზრდელ დედას, სად არის კანონი და სამართალი, ნუთუ მეტი არ გვეკუთვნის?

**ანა ძამუკაშვილი**

**პასუხი:** თუ თქვენ დარეგისტრირებული არ ხართ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკომუნიკაციო პუნქტს – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ინფორმაცია**

## გერმანული რეანომობილები – ქუთაისში

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ქუთაისის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურისთვის ორი ავტომანქანა შეიძინა.**

სასწრაფო დახმარების მანქანები ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ქუთაისის 03-ის თანამშრომლებს პირადად გადასცა.

გუშინვე ქუთაისის მერმა მედიკოსებს ორი რეანომობილი მიუყვანა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქუთაისის მერიამ რეანომობილები გერმანიაში შეიძინა.

## ქმარმა ცოლი მძიმედ დაჭრა და სიდედრ-სიმამრი მოკლა

**უბედური შემთხვევა მოხდა გარდაბნის რაიონში. სოფელ ნორიოში ქმარმა საკუთარი ცოლი მძიმედ დაჭრა, სიდედრი და სიმამრი კი მოკლა. მიყენებული ჭრილობების შედეგად ისინი ადგილზე გარდაიცვალნენ. დაჭრილი კი მძიმე მდგომარეობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

შემთხვევა 3 მაისს მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია, რომელმაც დანაშაული აღიარა.

მკვლელობის მოტივად ცოლ-ქმარს შორის არსებული უთანხმოება სახელდება. არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, რომელსაც ამის გამო მეუღლეს ოჯახთან ურთიერთობა გართულებული ჰქონდა. შემთხვევიდან რამდენიმე ხნით ადრე მას ცოლი დაშორდა, რომელიც საზღვარგარეთ გამგზავრებას გეგმავდა.

## 32 წლის პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 დაწესებულებაში 32 წლის პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო. სად-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, იური მ. ვენტილაციის გისოსზე საკუთარი მაისურით ჩამოკიდებული პირველად ოპერატიულმა მორიგემ ნახა. ჩამოხრჩობის ფაქტს გამომძიებლების და ექსპერტების პირველადი დასკვნაც ადასტურებს.**

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს.

იური მ. განზრახ მკვლელობისთვის, ყაჩაღობისთვის, სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და დეზორგანიზაციისთვის იხდიდა სასჯელს. ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 1996 წლიდან იმყოფება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ს მიხედვით**

**რეკლამა** **კოსტავას 12**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.**

**სს „ქუთაისის ავტოსერვის „რაშის“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**სს „ქუთაისის ავტოსერვის „რაშის“ დირექტორი იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2008 წლის 27 მაისს 17 სთ-ზე, ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №11-ში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის სამეურნეო საქმიანობის შესახებ საწარმოს დირექტორის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. 2008 წლის აუდიტორის არჩევის შესახებ;
3. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილების შეტანის შესახებ;
4. სხვადასხვა.

აქციონერთა მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეიძლება შევიდეს, თუ ისინი განცხადებით მიმართავენ დირექტორს 2008 წლის 17 მაისის ჩათვლით.

კრებაზე მოწვეულია ყველა აქციონერი. აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება კრებამდე 2 საათით ადრე.

**სს დირექტორი**

**სააქციო საზოგადოება „ტრანსვესტინჟინერინგი–12“**

**2008 წლის 28 მაისს, 13 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება.**

მისამართი: ქ.ქუთაისი, ზ. გამსახურდიას, 58.

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის სამეურნეო-საფინანსო ანგარიში;
2. სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ.

**სამეთვალყურეო საბჭო**

**დაზუსტება**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 6 მაისის ნომერში გამოქვეყნდა სს „მრეწვრკინიგზის“ აქციონერთა საერთო კრების შესახებ განცხადება, სადაც გაიპარა შეცდომა მისამართში. ნაცვლად კიროვის ქუჩისა, უნდა იყოს კაიროს ქ.№36.**

◉ რა არ ხდება



## მაღალი ხარ? მაშასადამე — ეჭვიანი

**ეჭვიანობის ძალა დამოკიდებულია ადამიანის სიმაღლეზე — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენისა და ესპანეთის ვალენსიის უნივერსიტეტების მკვლევარები, ადგილობრივი მოსახლეობა რომ გამოკითხეს. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მამაკაცები ეჭვიანობენ ახოვან, მდიდარ და ძლიერ მეტოქეებზე. მაგრამ რაც უფრო მაღალია მამაკაცი, იმდენად ნაკლებად წუხს ამის გამო.**

ქალების გრძნობებიც სიმაღლეზე დამოკიდებული აღმოჩნდა. საშუალო სიმაღლის ქალები გაცილებით მეტად ეჭვიანობენ მეტოქე ქალებზე, რაც უფრო მაღლები არიან ისინი.

მაღალი მამაკაცები გაცილებით თამამად გრძნობენ თავს ქალებთან. თავის მხრივ, საშუალო სიმაღლის ქალები მეტად პოპულარულნი არიან კაცობრიობის ძლიერ ნახევარში. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მაღალი ქალები საზოგადოებაში დომინირებენ.

## ბელადების პანთეონი?

**კარგა ხანია, ტრიალებს აზრი მოსკოვის გარეუბანში რუსეთის განსაკუთრებით გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების მემორიალის შექმნაზე, დაახლოებით ისეთის, ამერიკაში არლინტონი რომაა. რუსეთის ეროვნული სასაფლაო მოეწყობა მიტიშჩის რაიონში.** ჯერ კიდევ 2000 წელს მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების კომბინატმა კრემლიდან მიიღო დავალება — გამოეძებნა სათანადო მოედანი მემორიალური კომპლექსისთვის. თავდაპირველად კომპლექსი უნდა გახსნილიყო ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავზე, მაგრამ მშენებლებმა ვერ მოასწრესო. ახლა კრემლში აცხადებენ, ის 2010 წლისთვის გაიხსნებაო.



არსებული ესკიზების მიხედვით, სასაფლაო-მემორიალი გრანდიოზული იქნება. 52 ჰექტარზე გადაშლილ ობიექტზე დაიდგმება რუსეთის ისტორიის გმირების ობელისკები, ძეგლები, სახელოსნოებში უკვე ამთავრებენ მოტირალი ქალების ქანდაკებებს. მთავარ ხეივანში ოცდაათი საფლავი იქნება.

ფედერალური მემორიალური სასაფლაოს შექმნასთან ერთად ამუშავებენ მთავრობის მეთაურთა გადასვენების ცერემონიის პროექტსაც. ახალ სასაფლაოზე გადასვენებას უპირებენ საბჭოთა ეპოქის ლიდერებს — სტალინს, ხრუშჩოვს, ბრეჟნევს, შესაძლოა, იქვე გადაიტანონ ულიანოვ-ლენინის მავზოლეუმიც.

## სექსი ნებადართულია ოფიციალურად



**ნიდერლანდებში დაიწყეს ახალი საპოლიციო ინსტრუქციების დამუშავება, რაც ითვალისწინებს სანქციების მოხსნას იმათ მიმართ, ვინც სექსით ღია ცისქვეშაა დაკავებული.** გრძნობების მგზნებარე გამოვლინება — ფლირტით დაწყებული სრულფასოვან სქესობრივ აქტამდე — დანაშაულად აღარ მიიჩნევა. ინსტრუქციების პროექტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო მოხელეებმა განმარტოებულ წყვილებს ან ადამიანების ჯგუფს ხელი არ უნდა შეუშალონ მათ საქმიანობაში, თუკი ისინი ხელს არ უშლიან ირგვლივ მყოფთ (?!ძ.

**უცხოური პრესის მიხედვით**

◉ ინფორმაცია

## ახალციხეში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი აქტიურ ფაზაში გადავიდა

**როგორც კომპანიიდან აცნობეს, მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვის მიზნით, 6350-მდე აბონენტს დაუმონტაჟდება თანამედროვე ევროსტანდარტის შესაბამისი აღრიცხვის კვანძები. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 2 მლნ ლარამდე ინვესტიციას.**



ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესის დაწყებამდე, ახალციხეში მიმდინარეობდა ძსელის მოსამზადებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. 500 ძველი ხის ბოძი კომპანიამ ახალი რკინა-ბეტონის ბოძებით შეცვალა.

გამრიცხველიანების პროცესი ახალციხეში 2008 წლის ივლისში დასრულდება. შედეგად „ენერგო-პრო ჯორჯიას" 6 350 აბონენტი ისარგებლებს უახლესი თანამედროვე ტიპის მრიცხველებით, რომელთა საშუალებით შეძლებს მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტ აღრიცხვას.

## დააკავეს 13 ძებნილი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ძებნილი 13 პირი დააკავეს.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, მათ შორის არის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი 22 წლის რუფათ რაგიმოვი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

დაკავებულებს შორის 6 პირი, დავით ლომთათიძე, თეიმურაზ შიხიაშვილი, როლანდ აბულაძე, აკაკი კარელიძე, ჯემალ მგელაძე და ვაჟა სანდაძე ნარკოტიკების შენახვა-გასაღებისათვის იძებნებოდნენ.

დაკავებულები არიან, ასევე, სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილები შალვა კვაჭაძე, მინდია შარაბიძე, ფრიდონ მსხალაძე, ირაკლი ფიფია, ამირან კაკაბაძე და ვალერიან გურგენიშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

**იყიდება!**

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ.

ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.

ფასი შეთანხმებით.

რედაქცია კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში"

98-65-87; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

— რაღაც დიდი ხანია, არ მინახიხარ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— ავად ვიყავი.

* * *

— გათხოვილი ხართ? — ეკითხება დილით ტროლეიბუსში ტიპი გოგოს.

— არა, უბრალოდ მაკიაჟის გაკეთება ვერ მოვასწარი.

* * *

— ნერვული სტრესები თუ გადაგიტანიათ? — ეკითხება ნევროპათოლოგი პაციენტ მამაკაცს.



— ერთხელ ჩემ თვალწინ კომპიუტერი სპირტით გაწმინდეს.

* * *

განცხადება: უკომპლექსო ახალგაზრდა სიმპათიური ქერათმიანი ლამაზმანი, 90-60-90, ეძებს მაღალანაზღაურებად სამსახურს ღამის საათებში. ინტიმს ნუ შემომთავაზებთ.

* * *

ქმარი სილამაზის სალონთან დგას, ცოლს ელოდება. იგი გამოდის და კეკლუცად ეკითხება ქმარს:

— აბა, რას მეტყვი?

ქმარმა შეხედა და ეუბნება: ნუ! გეცადა მაინც!!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.